ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge


გვ.5

**მამუკა ხაზარაძე: „ველოდები, გახარიას პროკურატურაში როდის დაიბარებენ“**

**დიმიტრი კაკუბავა ამირან გიგუაშვილის წინააღმდეგ**


გვ.5

„მან დაარღვია მიხეილ კალანდიას უდანაშაულობის პრეზუმფცია“

შაბათი – კვირა, 28 – 29 დეკემბერი, 2019 №308 (8262) ფასი: 60 თეთრი

# სოფო კილაძე: „რატომ აქამდე არ დაიწყო გამოძიება ეკა ბესელიას კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებით?!“



გვ.2

## ეკა ბესელია: „კილაძემ ბოდვას თავი დაანებოს“



## ზაზა ხატიაშვილი: „დარბევის ბრძანება ივანიშვილის გაცემული იქნება“


გვ.4

ულირსი 30 ლარიანი ამომრჩევლის ბრალია, რომ ჯერ სააკაშვილმა დააქცია ეს ქვეყანა და ახლა ივანიშვილი აქცევს

## ლაშა ჩხარტიშვილი: „გადაწყვეტილება ჩიპიან პირადობებზე ხელისუფლებას არჩევნების გასაყალბებლად უნდა“


გვ.3

## „ივანიშვილი ეცდება, კალაძის ავტორიტეტი შელახოს“


გვ.3

არჩილ გამზარდია: „თუ კალაძე მოქალაქეებს ალტერნატივას არ შესთავაზებს, მის იმიჯს საფრთხე შეექმნება“

## პეტრე მამრაძე: „ხელისუფლება ერთმანეთის მიყოლებით უშვებს პოლიტიკურ იდიოტიზმებს“


გვ.3

## ახალგორელებს საოკუპაციო რეგიონის მოქალაქეობის მიღებას აიძულებენ


გვ.4

ISSN 1987-9385

2 ნიკა მელია ოპოზიციის მთავარი ლიდერია

2 29 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ყველა მანქანამ დაასიგნალოს ვაჟა გაფრინდაშვილის მხარდასაჭერად!

5 პოლიციამ გორიდან გაუჩინარებული გოგონა იპოვა

6 ყაზახეთში თვითმფრინავი ჩამოვარდა 14 ადამიანი დაიღუპა

# სოფო კილაძე: „რატომ აქამდე არ დაიწყო გამოძიება ეკა ბესელიას კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებით?!“

## ეკა ბესელია: „კილაძემ ბოდვას თავი დაანებოს“



— მე ძალიან მიკვირს, რატომ აქამდე არ გადადგა პროკურატურამ შესაბამისი ნაბიჯები ქალბატონი ბესელიას შესაძლო კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ასე ეხმიანება ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძე გავრცელებულ ინფორმაციას, რომ დამოუკიდებელ დეპუტატ ეკა ბესელიას წინააღმდეგ კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებით გამოძიებაა დაწყებული.

მისი თქმით, კითხვები მის კორუფციულ საქმიანობაზე მაშინ გაუჩნდა, როცა ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე გახდა და ეს კითხვები დასვა უმრავლესობის ერთ-ერთ სხდომაზე, სადაც ბიძინა ივანიშვილმა მას სთხოვა, კითხვების დასმა შეეწყვიტა. თუმცა, დეპუტატი აქვე აცხადებს, რომ გამოძიება ამ საკითხზე მაშინ უნდა დაინტერესებულიყო, როცა ეკა ბესელია ხელისუფლებაში იყო.

როგორც კილაძემ აღნიშნა, მის გარდა, ეკა ბესელიასთან დაკავშირებით კითხვები სხვა დეპუტატებსაც ჰქონდათ. ამასთან, სოფო კილაძე ამბობს, რომ თუ შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან ამ საქმით, ის ვალდებულია და მზად არის, ყველა მის ხელთ არსებული ინფორმაცია მიაწოდოს მათ.

— მე ამის შესახებ კითხვა დამისვა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რომელმაც მითხრა, რომ არის სავარაუდოდ, დაწყებული გამოძიება ქალბატონი ბესელიას მიმართ. მე არ ვიცი, ნამდვილად არის თუ არა გამოძიება დაწყებული, მაგრამ ფაქტია, რომ როცა გავხდი ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე, მაშინ ის კითხვის ნიშნები, რომლებიც არსებობდა საზოგადოებაში ამ ქალბატონის მიმართ მის შესაძლო კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გამიმრავლდა და ამ კითხვების შესახებ დავიწყე გუნდში საუბარი.

ეს იყო საფუძველი იმისა, რომ ქალბატონმა ბესელიამ მე აღმიქვა პირად მტრად და ყველგან აბსოლუტურად, საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, ყველგან ახდენდა ჩემი სახელის დისკრედიტაციას.

ამის მიზეზი იყო მარტივი, რომ მე ახალბედა, ახალმა მოსულმა პოლიტიკოსმა გავბედე მის შესაძლო კორუფციულ საქმიანობაზე საუბარი.

ფაქტი იყო ასევე ის, რომ ჩვენ უმრავლესობის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა და მას მიჰყავდა ეს სხდომა, მე მოვითხოვე კონკრეტულ კითხვებზე პასუხების გაცემა ქალბატონი ეკა ბესელიას მხრიდან, რაზეც მას თავად ჰქონდა ძალიან ნეგატიური რეაქცია და მოაწყო ის გარკვეული სცენები.

მას გადაეფარა ასევე ბატონი გოგიჩაიშვილი და ბატონი გედი ფოფხაძე და ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მთხოვა მე, რომ შემეჩერებინა ამ კითხვების დასმა, იმიტომ, რომ არ გამწვავებულიყო სიტუაცია კიდევ უფრო მეტად.

იმის შემდეგ ფაქტობრივად რეაგირება არ ყოფილა ამაზე.

დაგიდასტურებთ, რომ ძალიან ბევრი დეპუტატი საუბრობდა მანამდეც ამ კითხვის ნიშნებზე, მე არ ვიყავი ერთადერთი. მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ მე ამ კომიტეტის საქმიანობაში უფრო მეტად ჩავიხედე, როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ, რა თქმა უნდა, მე უფრო მეტი ინფორმაცია მქონდა კონკრეტული, — განაცხადა სოფო კილაძემ.

სოფო კილაძეს ეკა ბესელიამ მაშინვე უპასუხა.

— ბევრად უფრო საშინლად გამოიყურება ამ როლში, ვიდრე ის გაუქმებული ტროლების ქარხანა. ამ ფონზე, როდესაც აღარ არის ტროლები, ბოტები, გაუქმდა ყალბი გვერდები, გამოჩნდნენ მათ როლში აბაშიძეები და (გია აბაშიძე– ექსპერტი) კილაძეები, — განაცხადა მან.

ეკა ბესელიას თქმით, მის წინააღმდეგ ბინძური ბრალდებები ადრეც გაჟღერდა და ახლა ეს დავალება სოფიო კილაძემ მიიღო. რაც შეეხება უმრავლესობის სხდომას, რომელზეც სოფიო კილაძე საუბრობს, ეკა ბესელია ამბობს, რომ სოფიო კილაძეს ამ სხდომაზე არც ერთი ფაქტი არ დაუსახელებია და გაუგებრად საუბრობდა.

— რადგან გაგიჩნდათ კითხვა, ვალდებულად ჩავთვალე თავი, რომ მოვიდე და გიპასუხოთ, მაგრამ არ ვპასუხობ იმ ადამიანს, რომელიც ბევრად უარესია და ბევრად უფრო საშინლად გამოიყურება ამ როლში, ვიდრე ის გაუქმებული ტროლების ქარხანა.

ამ ფონზე, როდესაც აღარ არის ტროლები, ბოტები, გაუქ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ნიკა მელია ოპოზიციის მთავარი ლიდერია



ფრანგულმა კვლევითმა ორგანიზაცია იპსოსმა, ტელეკომპანია ფორმულას დაკვეთით, ოპოზიციონერი ლიდერების ეფექტურობის კვლევა ჩაატარა, სადაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ნიკა მელია ლიდერობს.

დავით ბაქრაძე, რომელიც ბოლო კვლევებში ლიდერობდა, ამჯერად მესამე ადგილს იკავებს, ხოლო მას უსწრებს ელენე ხოშტარია, რომელიც მეორე ადგილზეა.

ნიკა მელიას, რომელსაც გენერალურმა პროკურატურამ ე.წ. გავრილოვის ღამის საქმეზე ბრალი წაუყენა, ხოლო შემდეგ პარლამენტის „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ დეპუტატის მანდატი გაუუქმა, მოსახლეობის 15.1% მთავრობის ყველაზე ეფექტურ ოპონენტად და ოპოზიციის ყველაზე ეფექტურ ლიდერად მიიჩნევს.

იპსოსმა ოპოზიციის ლიდერების ეფექტურობა ბოლო 2 კვირის განმავლობაში გამოიკითხა.

## დავით ჭიჭინაძე: „მალე დავასახელებ იმ ჩინოვნიკებს, ვინც ათეულობით მილიონი ლარი ჯიბეში ჩაიდო“



— დღგ-ეს სკანდალში მალე დავასახელებ იმ ჩინოვნიკების გვარებს, ვინც ათეულობით მილიონი ლარი ჯიბეში ჩაიდო.

ამის შესახებ პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, 700 მილიონის მოპარვა დღგ-თი და გინდა დღგ-ს გარეშე, მაღალჩინოსნის ჩართულობის გარეშე წარმოუდგენელია.

— გამოვიდეს მინისტრი მაჭავარიანი და თქვას, რაშიც არის რეალურად პრობლემა! ვინც საქმეში ჩახედულია, ყველამ ზუსტად იცის, რომ „აიტიშნიკების“ პრობლემა აქვთ. მათ იმიტომ ვერ იჭერენ, რომ ისინი იტყვიან, ვისგან იღებდნენ ამ დავალებებს.

ამ ეტაპზე მარტო ბიზნესმენები არიან დაჭერილი, არადა ფინანსთა სამინისტროს გარეშე, ვერანაირად ვერ მოხდებოდა იმ გადასახადების ასახვა და გვარებს თუ თვითონ ვერ გებულობენ, მობრძანდეს მაჭავარიანი პარლამენტში, ახალი წლის შემდეგ და მე მოვახსენებ. მით უმეტეს, რომ დაბალი დონის ჩინოვნიკებსაც კი მილიონობით ლარი აქვთ ჯიბეში ჩადებული, — განაცხადა ჭიჭინაძემ.

## 29 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ყველა მანქანამ დაასიგნალოს ვაჟა გაფრინდაშვილის მხარდასაჭერად!

### „ეს თავისუფლების სიგნალი იქნება“



საოკუპაციო რეჟიმის მიერ უკანონოდ დაკავებული ექიმის, ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახი საზოგადოებას მოუწოდებს, 29 დეკემბერს, 19:00 საათზე ექიმის მხარდასაჭერ აქცია-პერფორმანსს შეუერთდეს.

29 დეკემბერს 19:00 საათზე თითოეული მოქალაქე საკუთარი ავტომობილებიდან 1 წუთის განმავლობაში საყვირით გამოხატავს მხარდაჭერას ექიმის მიმართ.

— მისია მარტივია — დაასიგნალეთ, სადაც იქნებით, საკუთარი ავტომობილიდან. ნებისმიერი ქალაქიდან, სოფლიდან, მთელი საქართველოდან. ეს იქნება დიდი და მნიშვნელოვანი სიგნალი — თავისუფლების სიგნალი, რომელსაც პირველ რიგში გავიგონებთ ჩვენ და ჩვენთან ერთად გაიგონებს მთელი მსოფლიო.

გაიგონებენ პაციენტები და ექიმები მთელი მსოფლიოდან და მათ შორის ოსი ექიმები და პაციენტები, რომლებთანაც დროებით გაუგებრობამ გაგვყო.

ეს სიგნალი იქნება ყველა ადამიანისთვის, ვისაც თავისუფლება უკანონოდ შეეზღუდა. ეს სიგნალი იქნება იმედის სიგნალიც, რომ სასწაულები ხდება და რომ სასწაულებს ხანდახან ადამიანებიც ახდენენ, ოღონდ ამისთვის ჩვენ ერთობლივი ძალისხმევა გვჭირდება!

ცხადია, სიგნალი სიმბოლურია და პარალელურად უამრავ ნაბიჯს ვდგამთ, მაგრამ ხანდახან ნაბიჯებს ზურგის ქარიც სჭირდება, ქარი, რომელიც ყველა თქვენგანის მხარდაჭერას ნიშნავს!

გვინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი, ჯანმრთელობა და ბედნიერება გისურვოთ თავისუფალ გარემოში. გისურვოთ ის, რაც ახლა აკლია ვაჟა ექიმს, უკანონო პატიმარს, რომელიც შეიძლება ამ დღესასწაულებს ოჯახისგან მოწყვეტით, ცივ საკანში შეხვდეს, — განაცხადა თათა გაფრინდაშვილმა.

## ლიპეცკის ოლქში მოსკოვი–თბილისის ავტობუსი ამოტრიალდა

### 2 ადამიანი დაიღუპა

26 დეკემბერს ლიპეცკის ოლქში მოსკოვი-თბილისის ავტობუსი ამოტრიალდა, რის შედეგადაც დაიღუპა 2 ადამიანი.

გარდაცვლილი მგზავრები 1961 და 1969 წელს დაბადებული მამაკაცები არიან. დაშავებულია 8 ადამიანი, რომელთა შორის 1 მცირეწლოვანი ბავშვია.

გამოძიება ინციდენტის ორ მიზეზზე მუშაობს. ერთი ვერსიით, ავარია ამინდის გაუარესებას და ლიპყინულს უკავშირდება, მეორე მიზეზით კი — მძღოლმა მართვა დაკარგა და საჭე ვერ დაიმორჩილა.



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ლიპეცკის ოლქის, სტანოვლიანკის რაიონის, დასახლებულ პუნქტ იარკინოს მიმდებარედ, 26 დეკემბერს მაგისტრალზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, ამოტრიალდა სამგზავრო ავტობუსი, რომელიც მოძრაობდა მოსკოვი-თბილისის მიმართულებით.

ავტობუსით მგზავრობდა 19 პირი. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავდა 17 მგზავრი, მათგან 8 გადაყვანილია სტაციონარში და უტარდება საჭირო სამედიცინო დახმარება. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპა 2 პირი.

საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს გადაწყვეტილებით, მოხდება იმ მგზავრების საქართველოში გადმოყვანა, რომლებიც ავტოსაგზაო შემთხვევისას მსუბუქად დაშავდნენ და მათი ტრანსპორტირება შესაძლებელია.

პირველივე შესაძლებლობისთანავე რუსეთში შვეიცარიის საელჩოს საქართველოს სექციის თანამშრომლები გაემგზავრებიან შემთხვევის ადგილზე და დაშავებულებს მოინახულებენ.



## კალაძე: „ყველაზე მაგრად არის განათებული ქალაქი, ყველაზე მაგარი ნაძვის ხე გვაქვს, ყველაზე მაგარი კონცერტი გვექნება“

— არავის მივცემთ ამის შესაძლებლობას, რომ ბავშვებს, ყველა იმ ადამიანს, ვისაც უხარია და მოსწონს საახალწლოდ მორთული თბილისი, წაართვან და მოიპარონ. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც კალაძემ აღნიშნა, თბილისი საახალწლოდ ყველაზე ლამაზად არის განათებული და საუკეთესო ნაძვის ხე აქვს.

— ჩვენი ქალაქი არის ყველაზე ლამაზი, საახალწლოდ განათებული და ყველაზე ლამაზი ნაძვის ხეც გვაქვს.

ყველაზე მაგრად არის განათებული ქალაქი, ყველაზე მაგარი ნაძვის ხე გვაქვს, ყველაზე მაგარი კონცერტი გვექნება და ეს ტენდენცია და მიდგომები ყველგან და ყველაფერში გაგრძელდება, — განაცხადა კალაძემ.

## დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა



27 დეკემბერს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა.

ბიუჯეტის პროექტს მხარი საკრებულოს 33-მა დეპუტატმა დაუჭირა. ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით ისაუბრა და ასევე აღნიშნა, რომ დაწყებული პროექტები მომავალ წელს დასრულდება.

სხდომას ოპოზიცია ბოიკოტის ნიშნად არ დასწრებია.

თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი ჯამში 1 მილიარდ 300 მილიონი ლარი იქნება. 2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულება იქნება ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებები.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი ეცდება, კალაძის ავტორიტეტი შელახოს“

## არჩილ გამზარდია: „თუ კალაძე მოქალაქეებს ალტერნატივას არ შესთავაზებს, მის იმიჯს საფრთხე შეექმნება“

**იაგო ნაცვლიშვილი**

2020 წლის თბილისის ბიუჯეტიდან დედაქალაქის მერის პიარზე 4.6 მილიონი ლარი დაიხარჯება. ეს იმ ფონზე, როდესაც სოციალური მიმართულებით ფაქტობრივად ყველა სფეროში მცირდება ბიუჯეტი ან უცვლელი რჩება მცირედი გამონაკლისების გარდა.

რით აიხსნება მერის პიარის კიდევ უფრო მეტად გააქტიურება? ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ კალაძე ემზადება დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშისთვის? უკუშედეგი ხომ არ ექნება მის გადამეტებულ პიარს და ხომ არ აქვს ივანიშვილს კომპრომატები მის წინააღმდეგ და აიძულებს მას, რომ თავისი იმიჯის დამაზიანებელი ნაბიჯები გადადგას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პიარის სპეციალისტი და პოლიტოლოგი **არჩილ გამზარდია** საუბრობს.

***— კალაძის პიარისთვის 4.6 მილიონი დაიხარჯება. რით შეიძლება აიხსნას ეს იმ ვითარებაში, როდესაც, ფაქტობრივად, ყველა მიმართულებით მცირდება სოციალური მიმართულებების დანახარჯები ან უცვლელი რჩება?***

— ამის ახსნა მარტივად შეიძლება. ჩვენ ვხედავთ, რომ საერთო ჯამში „ქართული ოცნების“ ლიდერებიდან კახა კალაძე ერთ-ერთი იშვიათია, რომელსაც ავტონომიური იმიჯიც აქვს შექმნილი და საკმაოდ მყარი რეპუტაციაც. ოღონდ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველში, ხაზი გავუსვათ ამას. ამიტომ, ეს არის პროპაგანდისტული კამპანიის შედეგი და ეფექტი. ამაზე აქტიურად მუშაობენ მუდმივად.

რაც მერია კალაძე, ამ პერიოდში ვხედავთ რაღაცების კეთების მცდელობას მოქალაქეები, მაგრამ რაიმე შედეგს, რაც მას დაეწევა იმიჯში, ვერ ვხედავთ. რასაც ვხედავთ, არის დისბალანსი მიღწეულ წარმატებებსა და იმიჯს შორის, ამ დროს თავისთავად ჩნდება კითხვა — ეს ყველაფერი საიდან მოდის.

ეს მოდის სწორედ ამ პროპაგანდისტული კამპანიებიდან. ამიტომაც აფინანსებს კიდევ უფრო მეტად, ვინაიდან კიდევ უფრო რთული წელიწადია და არ დაგვავიწყდეს, რომ მისი მერობიდანაც გადის ვადა. ანუ წლები რაც უფრო ემატება, უფრო მეტად მოსთხოვს თბილისის მოსახლეობა თბილისის მერს მეტი შედეგის დადებას, რაც არ არის მარტივი.

***— პიარზე თანხების გაზრდა უკუშედეგს ხომ არ გამოიღებს იმ ფონზე, როცა სხვა მიმართულებებით მცირდება ბიუჯეტი და იმ ფონზე, როდესაც ბოლო პერიოდში მას ცოტა შეერყა რეპუტაცია. ბოლო კი იყო ნაძვის ხის თემა?***

— შეერყა თუ არა რეპუტაცია, ამის გაზომვა ცოტა რთულია ან საერთოდ რამდენად მდგრადია მისი რეპუტაცია. როდესაც ამ პროპაგანდისტული კამპანიის შედეგად აქვს ეს მაჩვენებელი, რომელიც მას აქვს, აქ ჩნდება კითხვა, რამდენად მდგრადია. როგორც წესი, როდესაც მარტო პროპაგანდაზეა დამოკიდებული, ის იმიჯი მდგრადი არ არის. ამიტომაც შეიძლება მისი იმიჯის პრობლემა გამოიწვიოს რაღაც მაჩვენებლებმა.

ნაძვის ხის თემა ჩაივლის და არა მგონია, ის დარჩეს მოქალაქეთა მეხსიერებაში მას შემდეგ, რაც ახალი წლის დღეები ჩაივლის. თანაც ამას მაინც აბალანსებს თბილისის რაღაც ნაწილების შელამაზება, რაც თავისთავად დადებითად მოქმედებს თბილისელებზე. მაგრამ, აქ საუბარია იმაზე, რამდენად მოცულობით შედეგს წარმოადგენს ის, როდესაც შეაჯამებს თავისი საქმიანობის რამდენიმე წელს.

ის, რომ ბიუჯეტი სხვადასხვა მიმართულებებით მცირდება, რიგითი მოქალაქეების მეხსიერებაში ნაკლებად ილექება ხოლმე. ამიტომ, ეს კამპანიები მის მიმართ შეიძლება ნაკლებად აისახოს, მაგრამ პრობლემა შეიძლება შეიქმნას იმ დროს, როდესაც რამდენიმეწლიანი მმართველობის შედეგებს გადახედავენ მოქალაქეები და მოლოდინებსა და რეალურად განხორციელებულ საქმეს შორის დიდ სხვაობას დაინახავენ.

დღეს მისი იმიჯი არ დგას კრიზისის წინაშე, დღეს მხოლოდ რისკის ქვეშ არის. ამ შემთხვევაში კრიზისს ვერ ვხედავ, მაგრამ რისკი არის და ამიტომაც ცდილობენ, რომ ეს ძალისხმევა გააძლიერონ სამომავლოდ, რომ მერე ამ ყველაფრისგან პროპაგანდისტული კამპანიები აწარმოონ და ამან იმუშაოს.

ეს კრიზისი რაღაცა მომენტში გაჩნდება, თუკი რაღაცა ალტერნატივას არ შესთავაზებს მოქალაქეებს მისი ორი როლიდან — მერობიდან და პოლიტიკური ფიგურიდან გამომდინარე. ამ ვითარებაში ეს კრიზისი ამ პროპაგანდისგან არ იქნება დაცული.

***— „ოცნების“ ამომრჩევლისთვის მისაღებია კალაძის ცოტა რადიკალიზმში გადასული მოქმედებები? გვახსოვს მისი შუა თითი აქციის მონაწილეების მისამართით, ოპოზიციაზე ნათქვამი ფრაზა „მთაწმინდიდან გამოექანონ“ და ა. შ.***

— რადიკალური ამომრჩევლისთვის, ნებისმიერი პარტიის ამომრჩეველზე მაქვს საუბარი, ყველა ფორმა და ყველაფერი მისაღებია, რაც არ უნდა გააკეთოს.

***— ამაზე მუშაობს კალაძე?***

— მარტო ამაზე ვერ იმუშავებს. იმიტომ, რომ ეს არასაკმარისია. კალაძის ამოცანა მას შემდეგ, რაც ის მერი გახდა, ის იყო, რომ არა თუ არ უნდა დაეკარგა ამომრჩეველთა რაოდენობა, არამედ უნდა მოემატებინა. მით უმეტეს, რომ რაღაცა რისკის ზღვარზე გაიარა და ისე გახდა მერი. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

რადიკალური ამომრჩეველი ნებისმიერი პარტიისთვის არ არის ხოლმე იმ დოზის, რაც საკმარისი იქნება. ამიტომაც სხვა დანარჩენისთვის, მათ შორის რაციონალური ამომრჩევლისთვის, ეს ყველაფერი მისაღები ვერ იქნება.

***— კალაძის გადაწყვეტილება პიარზე გამოყოფილ თანხებთან დაკავშირებით იმითაც ხომ არ უნდა ავხსნათ, რომ კალაძე ემზადება დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშისთვის?***

— კალაძის მიმართ ეს მოლოდინები სულ არსებობს მას შემდეგ, რაც ის „ქართულ ოცნებაში“ აღმოჩნდა, 2012 წლიდან მოყოლებული. კალაძე ერთადერთი ადამიანია, ვინც ბიძინა ივანიშვილთან პარტნიორულ ურთიერთობაშია და მას არ სჭირდება ივანიშვილის ფინანსები, მას ჰქონდა თავისი იმიჯი, ბიზნესი, კავშირები და ა. შ. ის ბევრად ავტონომიურ მდგომარეობაშია. შეიძლება ითქვას, რომ „ქართულ ოცნებაში“ არავინაა მსგავსი ავტონომიის მქონე სხვა ფიგურა.

მაგრამ მე რასაც ვადევნებ თვალს, მსგავსი ჩანაფიქრები გამოჩნდება, ჩნდება მოლოდინები, რომ შეიძლება კალაძემ სხვა მიმართულებით იმუშაოს, თუმცა პროცესი ისევ ჩერდება ხოლმე. მე ვფიქრობ, რომ კალაძე ზომავს რაღაცებს, რომ იმ მომენტში რაღაცებს თავს ვერ ანებებს. როდესაც ის მერობაზე კენჭს იყრიდა, მაშინ ვთქვი, რომ ის გამზადებულ ნაღმზე მიდის-მეთქი.



***— რატომ?***

— იმიტომ, რომ თბილისის მერობა ძალიან რთულია და იქ ისეთი პროცესები მიდის, რაც ხშირად კორუფციის წყაროა, თეორიულად მაინც. ძალიან ძნელია, დანის პირზე გაიარო და ხელი არ წაგიცდეს.

არ ვიცი, კალაძე რამდენად გადის ამ დანის პირს. ამას გარდა, როგორც მინიმუმ, თბილისის მოსახლეობის კმაყოფილება სჭირდება. როგორც პოლიტიკურ პირს კი, მთლიანად ქვეყანაში სჭირდება მხარდაჭერა. ამ რესურსებს რამდენად ფლობს, ეს სხვა თემაა.

ბიუჯეტში მის პიარზე თანხების ზრდა არ არის ინდიკატორი იმისა, რომ ის თავისთავად რაღაცას აპირებს პოლიტიკაში. თუმცა, ვიმეორებ, რომ მისი მხრიდან ამ ძალისხმევას მუდმივად ვხედავთ. რაღაც ეტაპამდე მივა და ჩერდება ხოლმე მერე.

მას, ამას გარდა, „ქართულ ოცნებაში“ ძალიან მძიმე გადაწყვეტილებების გახმოვანება მოუწია. ასევე მან სცადა „ქართული ოცნების“ ქმედებების გამართლება, რაც მის იმიჯზე დადებითად არ მოქმედებს.

***— ამ ნაბიჯების გადადგმა რომ უწევს, ეს იმითაც ხომ არ აიხსნება, რომ შესაძლოა ივანიშვილს მასზეც ჰქონდეს კომპრომატები და იძულებულია, ეს ნაბიჯები გადადგას?***

— თეორიულად ეს შესაძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს ხელჩასაჭიდი მტკიცებულება. ამას გარდა, სანამ ის პარტნიორობს, ბიძინა ივანიშვილი ეცდება, რომ მას არ შეექმნას ავტორიტეტი.

ამიტომ ცდილობს, რომ მან შელახოს მისი იმიჯი და რეპუტაცია იმ განცხადებებით, რასაც ის აკეთებს და შემდეგ, როგორც ოპონენტს, ის აუცილებლად მოუბრუნდება უკან. არ დაგვავიწყდეს, რომ „ქართული ოცნებიდან“ წასული არც ერთი სუბიექტი არ ფლობს პოლიტიკურ კაპიტალს და კალაძემ უნდა გააკეთოს რაღაცა საოცრება, რომ თუკი ის წავა ოპოზიციაში, მას დარჩეს პოლიტიკური კაპიტალი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, თუ ეს ყველაფერი არ იქნება შიდა შეთანხმება.

თეორიულად ჩვენ ისიც შეგვიძლია დავუშვათ, რომ კალაძის ოპოზიციაში წასვლა შეიძლება ივანიშვილთან მისი გარიგება იყოს, თუმცა ესეც ნაკლებად სავარაუდოა.

ამ ეტაპზე ეს ყველაფერი თეორიულ დონეზე ჩანს, ვიდრე წინაპირობების თვალსაზრისით.

# პეტრე მამრაძე: „ხელისუფლება ერთმანეთის მიყოლებით უშვებს პოლიტიკურ იდიოტიზმებს“

**გულიკო ბალაძე**



2019 წლის პოლიტიკურ ცხოვრებას „ახალ თაობასთან“ პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** აფასებს.

***— ბატონო პეტრე, როგორი წელი იყო 2019? რა გავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე? რა იყო დადებითი და უარყოფითი?***

— დადებითს, რამე კონსტრუქციულს, სახელმწიფო-ეროვნული ინტერესებისთვის სასარგებლოს ნაკლებად ვხედავ. შეიძლება ვინმე ამაყობდეს, რომ ამ წლის დასაწყისში საქართველო მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა ბიტკოინების დამზადებით. შეერთებული შტატებიც კი მოვიტოვეთ უკან.

***— რაღაცაში მაინც წინ ვყოფილვართ.***

— ამ დროს მადუროს ვენესუელამ გვაჯობა და ისევ მესამე ადგილზე გადავედით, უნიკალური ქვეყანა ვართ იმით, რომ კაზინოების შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტზე მეტია.

***— კაზინოები და მისი რეკლამირება მართლა დიდი პრობლემაა.***

— დამისახელეთ სხვა ქვეყანა მსოფლიოში, სადაც კაზინოებს ასეთი თავისუფლება აქვთ. ეს კაზინოები ბიუჯეტში თითქმის არაფერს იხდიან. ასე რომ, მიღწევებიც გვაქვს.

***— რა მოვლენას გამოყოფდით, რამაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა?***

— გამოვყოფდი იმას, რომ წელს, შედარებით სხვა წლებთან, კიდევ უფრო მკვეთრად გამოჩნდა მართვის პატრონ-კლიენტური, ანუ პატრონ-ყმური სისტემის არაეფექტიანობა, კონტრპროდუქტიულობა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მართვის ამ სისტემის გამო, ხელისუფლება ერთმანეთის მიყოლებით უშვებს პოლიტიკურ იდიოტიზმებს. თვითონ ქმნის კრიზისებს. კრიზისების დაძლევის მცდელობის დროს ახალ-ახალ შეცდომებს უშვებს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ლაშა ჩხარტიშვილი: „გადაწყვეტილება ჩიპიან პირადობებზე ხელისუფლებას არჩევნების გასაყალბებლად უნდა“

**ნათია ხურცილავა**

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩიპიან პირადობის მოწმობებთან დაკავშირებით ოპოზიციისთვის მიუღებელია. იქ აცხადებენ, რომ ხელისუფლება ასეთ პირადობებს არჩევნების გაყალბებისთვის გამოიყენებს. რას იტყვით?***

— სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია საარჩევნო მანიპულაციასთან და არჩევნების გაყალბების მცდელობასთან. საპატრიარქომ თავის დროზე გააკეთა განცხადება, რომ არავითარ წინააღმდეგობაში არ მოდის ჩიპიანი პირადობის მოწმობა მართლმადიდებლობასთან. რაც შეეხება საქართველოში გავრცელებულ დანარჩენ რელიგიებს, მე არ მეგულება არც ერთი, რომელიც დანამდვილებით ამტკიცებს, რომ მათ რწმენას ჩიპი ეწინააღმდეგება.

არადა, საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ ადამიანების რწმენის კონტექსტში მიიღო ეს გადაწყვეტილება. არანაირ რელიგიურ გრძნობებზე ზრუნვა არ არის ივანიშვილისა და მისი კონტროლირებადი სასამართლოს გადაწყვეტილების მიზეზი. ამიტომ ეს არის დამატებითი მექანიზმის შექმნა არჩევნების გაყალბებისთვის.

***— ამაზე გია ვოლსკიმ თქვა: ახლა მივხვდი, რას ნიშნავს გამოთქმა „ენას ძვალი არ აქვს“.***

— ივანიშვილი და ეს ხელისუფლება როგორ ზრუნავს რელიგიაზე და ეკლესიაზე, ეს ჩვენ ვნახეთ. ამის მაგალითია მეუფე იაკობის განცხადებები, რომლებიც მას არ უარუყვია. მან ფორმისთვის მოიხადა ბოდიში და არა — შინაარსის გამო. ამიტომ ნუ გვეუბნებიან ახლა, რომ რელიგიური თუ ეკლესიური მორალით უდგებიან რაღაც საკითხს. მათი მორალი და რელიგიისადმი თუ ეკლესიისადმი დამოკიდებულება ვნახეთ, როგორია.

ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილებაც იმ ოპერიდანაა, რომელსაც ჰქვია ივანიშვილის უკანასკნელი თავგანწირული მცდელობა, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. ამიტომ ყველაფერზე წავა.

***— ღია გაყალბებაზე?***

— ივანიშვილი დაეშვა იქამდე, სადაც ეშვება ყველა ავტორიტარი. ტოტალურ შეტევაზე გადავიდა, ოღონდ საკუთარი ძალაუფლება შეინარჩუნოს. ამიტომ დაარღვია პირობა პროპორციულ არჩევნებზე გადასვლასთან დაკავშირებით. დღეს სრულიად განიარაღებულია. ფორმალური მორალური უპირატესობაც კი დაკარგა წინამორბედ რეჟიმთან მიმართებით.

მასობრივ დაპატიმრებებზე წავიდა. პოლიტიკური დევნის საკითხის შემსწავლელი კომისია შევქმენით და უკვე ამ ეტაპზე მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით დაკავებულია 220 ადამიანზე მეტი. ეს ტემპი ნამდვილად არ ჩამოუვარდება სააკაშვილის ტემპს, რადგან მე 6 თვის მონაცემებს მოგახსენებთ. ამიტომ არც ყალბ პირადობებს მოერიდება და არც დამატებით ძალადობას.



სწორედ ამ წინასაახალწლო დღეებში, სრულიად გაუგონრად, სპეცდანიშნულების რაზმის წვრთნები ვაზიანის ტერიტორიაზე სხვას რას უნდა ემსახურებოდეს?! ერთი მხრივ, ამით ხელისუფლება ცდილობს ზეწოლას ოპოზიციაზე და, მეორე მხრივ, ემზადება.

ერთადერთი წინაღობა შეიძლება იყოს საზოგადოების, მოქალაქეების აქტიურობა და დასავლეთის რეაქცია, რომელიც მართლაც უკიდურესად მწვავეა.

რაც უნდა აქტიური ვიყოთ ჩვენ, ოპოზიცია, მთავარი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეების, ადამიანების აქტიურ ჩართულობას მთელ ამ პროცესში. რაც უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება ამ ბრძოლაში, აბსოლუტურად სამართლიან მოთხოვნაში, რომ ქვეყანაში სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს, მანდატების გადანაწილება მოხდეს ისე, როგორც ეს ხალხის ნებაა, მით უფრო მალე დასრულდება ივანიშვილის რეჟიმი, მით უფრო ნაკლები ზიანი მიადგება ჩვენს ქვეყანას.

***— ადამიანებს არ სჯერათ, იმედგაცრუებულები არიან.***

— გასაგებია, მაგრამ სამართლიანი არჩევნები იმიტომ გვინდა, რომ ერთპარტიული პარლამენტი აღარ იყოს. იქნება მრავალპარტიული პარლამენტი. მრავალპარტიული პარლამენტი კი არის წინაპირობა სამართლიანი სასამართლოსი, იმის, რომ ვერც ერთმა ხელისუფლებამ ველარ შეძლოს ხალხის ძარცვა.

ადამიანები ქვეყანაში შიმშილით იხოცებიან, ბავშვთა შიმშილიანობის მაჩვენებელი ყოველდღიურად იზრდება და ამ ფონზე კორუფციის აპოგეაში მყოფი კალაძე თუ ივანიშვილი ძეგლს უდგამენ კორუფციას იმ ყბადაღებული ნაძვის ხის სახით, რომელშიც 1 მილიონი დახარჯეს.

ამასთან შეგუება წარმოუდგენელია.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

# ზაზა ხატიაშვილი: „დარბევის ბრძანება ივანიშვილის გაცემული იქნება“

## ულირსი 30 ლარიანი ამომრჩევლის ბრალია, რომ ჯერ სააკაშვილმა დააქცია ეს ქვეყანა და ახლა ივანიშვილი აქცევს

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი, ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე **ზაზა ხატიაშვილი** პასუხობს.

***– ბატონო ზაზა, როგორ აფასებთ განვლილ 2019 წელს?***

– ეს წელი იყო ლოგიკური დასასრული იმისა, რაც ივანიშვილის რეჟიმმა მოსვლის დღიდან დაიწყო. მე მას მოსვლის დღიდან დავუპირისპირდი. როდესაც მოვიდა და განაცხადა ლევან მურუსიძეზე, კარგი კაცი გავიცანიო. მაშინ ვთქვი, რომ ეს არის დიდი ფეოდალი, რომელიც ამ ქვეყანას დააქცევს-მეთქი. ისიც ვთქვი, რომ ეს რეჟიმი სააკაშვილზე ნაკლები რეჟიმი არ იქნებოდა.

ხელისუფლებაში მოსვლამდე ივანიშვილი გვპირდებოდა, ყველანი ციხეში წავლენო. თუმცა ვნახეთ, რომ უვადოდ გაამწესეს. სწორედ მაშინ მიიღო პირველი შოკი სამოქალაქო საზოგადოებამ. ხალხი მურუსიძეების და ჩინჩალაძეების დასჯას ითხოვდა და ამ კაცმა მათ მისცა ხელშეუხებლობის გარანტია. ამ ყველაფრის გვირგვინი კი 2019 წელს იყო ის სამარცხვინო სია, რომელიც წარადგინა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და აბსოლუტური უმრავლესობა რომ დაამტკიცა პარლამენტმა. იმ მონა პარლამენტმა, რომელმაც თითქოს ბიძინა ივანიშვილს წინააღმდეგობა გაუწია...

***– პროპორციული სისტემის ჩაგდებას გულისხმობთ?***

– დიახ, როდესაც პროპორციულ სისტემაზე გადასვლაზე იყო საუბარი და ვითომ აჯანყდნენ პარლამენტარები. ეს ყველაფერი რომ აბსურდი იყო და რომ ერთი ადამიანის ნებაზე ტრიალებდა მთელი სახელმწიფო ვერტიკალი, ეს ძალიან კარგად დავინახეთ, როდესაც პროპორციული არჩევნები თითქოსდა ივანიშვილს არ უნდოდა, რომ ჩავარდნილიყო და ჩავარდა, მაგრამ ის მოსამართლეები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას არ უნდოდა და ივანიშვილს უნდოდა, გავიდნენ.

მითი იმისა, რომ ივანიშვილი რაიმე ღირებულს გააკეთებს საქართველოში, ყველაზე დიდ ოპტიმისტებსაც კი დაენგრათ.

***– აღარავის სჯერა ამ მითების?***

– 2019 წლის დასასრულს ჩვენ შევხვდით იმით, რომ ლევან მურუსიძე სამუდამოდ ავირჩიეთ. ან პრეზიდენტი როგორ აირჩიეს. ესეც სამარცხვინო ნაბიჯი იყო. იყიდეს ამომრჩეველი, ზოგს ბანკის ვალები ჩამოაწერეს და აი ასე დაგვისვეს ეს ქალი პრეზიდენტად.

ეს იყო ამომრჩევლის მოსყიდვის კლასიკური მაგალითი.

დასავლეთმაც საშინელი დასკვნები დადო საპრეზიდენტო არჩევნების ირგვლივ, რითაც „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ შეარყია ისედაც შერყეული საქართველოს იმიჯი. ეს ყველაფერი კი იყო იმის მაჩვენებელი, რომ საქართველოში დაიწყებოდა რეპრესიები.

ივანიშვილი რომ პროპორციულ არჩევნებს არ შეურიგდებოდა, ეს კარგად აჩვენა საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმა. სწორედ ამიტომ გამონახა ე.წ. ურჩი დეპუტატები, რომლებმაც ჩააგდეს კანონი და სანაცვლოდ დაწინაურდნენ. ხოლო ვინც მართლაც რეალურად ურჩი დეპუტატი იყო, ივანიშვილი მათ როგორც ექცეოდა, ამას კარგად ვხედავდით.

***– როგორ ექცეოდა?***

– ყველა კარგად ვხედავდით თუ როგორ ქვეყნდებოდა მათი პირადი ცხოვრების კადრები და ნურავინ დამარწმუნებს, რომ ეს ხდებოდა საქართველოს ხელისუფლების გარეშე.

***– იმის თქმა გინდათ, რომ მათი ხელშეწყობით და თანხმობით ხდებოდა ეს ყველაფერი?***

– ჩემი პირადი აზრია, რომ სწორედ ასე იყო. რაღა ივანიშვილს რომ უპირისპირდებიან, მაშინ ქვეყნდება კადრები და როცა ივანიშვილთან არიან, არც ერთი კადრი არ ქვეყნდება.

ივანიშვილის მზაკვრული გეგმა, რაზეც მე სულ ვსაუბრობდი, მთლიანად განხორციელდა 2019 წელს. ეს კაცი ცდილობს, რომ ქვეყანაში დაამყაროს ავტოკრატიული მმართველობა. 2020 წლიდან ივანიშვილის შემდეგი ნაბიჯი იქნება შეტევა ტელევიზიასა და პრესაზე. იმ ნაწილზე, რომელიც ჯერ ვერ დაიმონა.

***– უკვე დაიწყო მათზე ზეწოლა და ეკონომიკური სანქციები.***

– ეს დასაწყისია. ეს წნეხი და ზეწოლა გაძლიერდება. ის როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა, აცხადებდა, ჟურნალისტებს სემინარები უნდა ჩავუტარო და ვასწავლო, როგორ წაიყვანონ გადაცემებიო. რადგან ეს ვერ ასწავლა ჟურნალისტებს, 2020 წელი იქნება ძალიან დიდი თავდასხმის წელი ჟურნალისტთა კორპუსზე. საკანონმდებლო იქნება ეს თუ სხვა, აუცილებლად ყველა ბერკეტს აამუშავებს ივანიშვილი მედიის წინააღმდეგ.

***– დასავლეთის რეაქცია, მისი სანქციები როგორი იქნება ამ ყველაფერზე?***

– ივანიშვილი აღარაფერს აქცევს ყურადღებას, არავის აზრს ითვალისწინებს. 2019 წლის მთავარი უბედურება იყო 20 ივნისი. როდესაც ივანიშვილს გაუჭირდება, ის ხდება სააკაშვილი 2.

მან დაარბია მომიტინგეები, ბავშვებს თვალები დათხარა. მიზანმიმართ მოხდა სახის არესა და თავში რეზინის ტყვიების სროლა. ეს იყო დიდი დანაშაული! სადარბაზოებშიც კი მისდევდნენ პოლიციელები ადამიანებს. შს მინისტრმა გახარიამ თქვა, მე გავეცი ბრძანებაო. იმის მაგივრად, რომ საბრალდებო სკამზე დამჯდარიყო, გახდა პრემიერ-მინისტრი. ივანიშვილის მეტი, მას ვინ დააწინაურებდა?!

აქედან გამომდინარე, მე ეჭვები გამიჩნდა, რომ დარბევის შესახებ ბრძანება ივანიშვილის გაცემულია. ასე რომ არ ყოფილიყო, გახარიას მოხსნიდნენ, კი არ დააწინაურებდნენ.

ვანო მერაბიშვილი ზუსტად ანალოგიური დანაშაულისთვის იხდის სასჯელს. რატომ შეიძლება, რომ ის სასჯელს იხდიდეს და გახარია კიდევ დააწინაურეს. ეს არის ივანიშვილის თამაში, პოლიტიკური ნება, და აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ 2020 წელი უფრო მძიმე იქნება.

***– რა თვალსაზრისით?***

– ივანიშვილმა გაბედა და პროპორციულ არჩევნებზე უარი თქვა. ძალიან სერიოზულ დანაპირებზე თქვა უარი.

***– გადააგდო დასავლეთიც, საკუთარი მოსახლეობაც.***

– დასავლეთი გადააგდო, მაგრამ მოსახლეობაზე რა გითხრათ. ივანიშვილი რომ ამდენს ბედავს, ეს არის იმ 30 ლარიანი ამომრჩევლის ბრალი, რომელიც ულირსად ყიდის თავის ხმას. ეს ამორალური საქციელია. ამ ულირსი 30 ლარიანი ამომრჩევლის ბრალია ის, რომ ჯერ სააკაშვილმა დააქცია ეს ქვეყანა და ახლა ივანიშვილი აქცევს.

***– თუ ჰყავს დღეს ჩვენს ქვეყანას პოლიტიკური ნიშნით დევნილები და პოლიტპატიმრები?***

– როცა არის ფეოდალი ავტოკრატი, პოლიტპატიმრები რომ არ არსებობდნენ, გამორიცხულია. 20 ივნისს ვინც დააკავეს, ყველა მათგანი არის პოლიტპატიმარი! იმიტომ, რომ გამოხატვის თავისუფლებისთვის დაიჭირეს ადამიანები, თითქოს და პარლამენტში უნდოდათ შევარდნა და რაღაც სისულელე.

ყველა მათგანი პოლიტპატიმარია! ადამიანები რუსულ ოკუპაციას აპროტესტებდნენ და ასეთი ადამიანები დაიჭირეს. ხოლო პოლიციელები, ვინც ადამიანებს თვალი დათხარა და ის შს მინისტრი, ვინც ეს ბრძანება გასცა, დააწინაურეს.

გამოდიან და მიტინგს აწყობენ, ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გავხდითო, რას ზეიმობენ?! მთავარია, რა ნაბიჯებს დგამენ და ქვეყანა საით მიჰყავთ.

***– რას ელოდებით 2020 წელს?***

– 2020-ში ველოდები ივანიშვილის რეჟიმის დასრულებას. ამას ველოდები 100%-ით. იმიტომ, რომ სააკაშვილი იყო მაგაზე ჭკვიანიც, მაგაზე მეტად პირსისხლიანიც და მაგაზე მეტად ულმობელიც. მას ჰყავდა უფრო მეტად პირსისხლიანი მინისტრებიც და უფრო მეტად დაუნდობელი ხალხი, მაგრამ როცა დაინახა სააკაშვილმა, რომ საქართველოს მოსახლეობას ეზიზღებოდა, ის ადგა და აღიარა დამარცხება. ამით მან თავისი თავი გადაირჩინა.

ივანიშვილი ამ არჩევნებს რომ წააგებს, ივანიშვილმა რომ ეს აღიაროს, მე ძალიან შორს ვარ ამ აზრისგან.

***– გაყალბებას შეეცდება?***

– რომც გააყალბოს, მაინც წააგებს. დასავლეთიდანაც დიდი წნეხი იქნება, სერიოზული სადამკვირვებლო მისია ჩამოვა. თუ ის შეეცდება, რომ გააყალბოს ეს არჩევნები, ამას მოჰყვება სანქციები პირადად ივანიშვილთან მიმართებაში. თქვენ კარგად იცით, რას უშვრებიან რუს ოლიგარქებს დასავლეთში.

***– ანუ დასრულდება 2020-ში ივანიშვილის მმართველობა?***

– ასე იქნება და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მას წაგებული აქვს ეს არჩევნები. სამწუხაროდ, ამას ივანიშვილის გარდა, ყველა ხვდება. მისი გარემოცვაც, რომელიც ნელ-ნელა შემოეცალა. სირცხვილია ხალხო, თავისი პირადი მცველებით დააკომპლექტა სამინისტროები. ეს არავის გაუკეთებია. ეს არის დიდი სირცხვილი. ამაზე ზურგს უკან ყველა დაგვცინის. წაუხდა ამ ქვეყანას იმიჯი. ხალხს ეზიზღება ივანიშვილი და ქუჩაში რომ გავდივარ, ამას ყველას თვალებში ვკითხულობ, ხალხი ამ ზიზღს აღარც მალავს.

სხვის მიმართ არ არის აგრესია, არც პრემიერის, არც რიგითი მინისტრების, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ყველაფერი ეს ერთი კაცია.

მისი რეიტინგი ფსკერზეა.

# სოფო კილაძე: „რატომ აქამდე არ დაიწყო გამოძიება ეკა ბესელიას კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებით?!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მდა ყალბი გვერდები, გამოჩნდნენ მათ როლში აბაშიძეები, კილაძეები, რომ შეავსონ ის დანაკლისი, რაც ამ გაუქმებული ყალბი გვერდების შემდეგ შეექმნა „ქართულ ოცნებას.“

დიდ სირცხვილად მიმაჩნია, რომ ეს დავალება მისცეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს. ამ კომიტეტმა უდიდესი საქმე გააკეთა პირველი ოთხი წელი და კილაძეს დახვდა ყველა დონორის და საერთაშორისო პარტნიორის მიერ აღიარებული საუკეთესო კომიტეტი და მან თავის თავმჯდომარეობა, იცით, რითი დაიწყო? ამ განსაკუთრებულმა მეოცნებე პოლიციელმა, რომელიც მენტალურად ვერ გათავისუფლდა პოლიციური გავლენისგან, პირველი დაიწყო „ოცნების“ პირველი თანამებრძოლების, რამდენიმე ადამიანის გათავისუფლებით კომიტეტის აპარატიდან.

4 ადამიანს დაუძახა და უთხრა, რომ დაეწერათ განცხადებები და გაყარა იქიდან. ერთი სასამართლო დავა, მისი და ფოლადიშვილის, სადაც მას ედავებიან დისკრიმინაციაში, დღესაც არ დასრულებულა. აი, ამით დაიწყო კილაძემ და თუ რაიმეს გამო მქონდა პროტესტი მის მიმართ, მქონდა ამის გამო.

ხელისუფლებაში არიან კორუფციაში ჩაფლულები და ამაზე მე თვითონ ვსაუბრობდი იმ სხდომაზე. ფაქტი დაასახელოს, რა მოიძია, რა დაადგინა, რა ფაქტზე ლაპარაკობს? ბოდვას და სამარცხვინო როლში ყოფნას თავი დაანებოს. ბიძინა ივანიშვილმა კი არ გააჩერა იმ სხდომაზე მარტო, სისულელეებს რომ ლაპარაკობდა, ვერავინ გაიგო, რას ამბობდა, თავისმა კოლეგებმა დასცინეს და უთხრეს, რომ ეს იყო ნაციონალური მოძრაობის ნარატივი, რითაც საუბრობდნენ წლების განმავლობაში ჩემ წინააღმდეგ, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

ეკა ბესელიას თქმით, ის მოუწოდებს სოფო კილაძეს და ხელისუფლებას, ფორმალურად მაინც დაკავდნენ მის წინააღმდეგ დაწყებული მორალური შეტევის ფაქტის გამოძიებით.

— როგორ შეიძლება კილაძემ რაიმე კორუფციულ გარიგებაზე ილაპარაკოს, როცა ნახევარი ხელისუფლება კორუფციაშია ჩაფლული, მე კილაძესაც და სხვებსაც მინდა მოვუწოდო, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ფორმალურად მაინც დაკავდეს და ერთ-ერთი საქმე, რომლის გამოძიების თემაც ყველაზე ცუდად გამოიყურება ხელისუფლებისთვის, არის ჩემ წინააღმდეგ დაწყებული მორალური შეტევის ფაქტი, კითხვები დასვას, ერთი წელი ხდება 27 იანვარს და დღემდე არაა გამოძიებული და თავი დაანებონ ჩემ წინააღმდეგ შეტევებს.

ერთი წელი რომ შესრულდება, თუ არ იქნება პასუხისგებაში მიცემული პირველწყარო, პირდაპირ დავადანაშაულებ მმართველ პარტიას და კონკრეტულ პირებს ყველაზე ამორალურ მორალურ შეტევაში, რაც განახორციელეს.

ამიტომ ამ საქმეებს მიხედონ, თავიანთ კორუფციას, დალაგებულ, უკანონო ტენდერებს მიხედონ და თავიდან ფეხებამდე რომ კორუფციაშია ჩაფლული ყველა, ამას მიხედონ და ჩემსკენ ხელის გაშვერას თავი დაანებონ, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

# ახალგორელებს საოკუპაციო რეგიონის მოქალაქეობის მიღებას აიძულებენ

მარიამ მჭედლიშვილი

29 დეკემბერს საქართველოს მოქალაქეები კიდევ ერთ აქციას მართავენ ცხინვალში დატყვევებული ექიმის, ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით. ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამ მოთხოვნის შესრულებაზე.

მოლოდინი იმის თაობაზე, რომ მას წინასწარი პატიმრობის შემდეგ თბილისს გადმოსცემდნენ, არ გამართლდა. დაახლოებით ერთი კვირის წინ ცხინვალის სასამართლომ მას ერთი წელი და 9 თვე მიუსაჯა საოკუპაციო ხაზის გადაკვეთისა და „დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის“ არაღიარებისათვის.

ექიმ გაფრინდაშვილის გათავისუფლება კიდევ ერთხელ მოითხოვეს აშშ-ისა და გერმანიის საელჩოებმა. მანამდე ამას ითხოვდნენ ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილე საერთაშორისო ორგანიზაციები და აშშ.

კრემლის მიერ შეგულიანებული ცხინვალის საოკუპაციო ადმინისტრაცია ამ საკითხში არათუ დათმობაზე არ მიდის, არამედ, საკმაოდ უპრეცედენტო სითამამით უტევს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და მსოფლიო თანამეგობრობას.

საოკუპაციო ადმინისტრაცია აცხადებს, რომ თბილისში ატეხილია ისტერია ვაჟა გაფრინდაშვილის გამო. მათი თქმით, გაფრინდაშვილი სასჯელს დამსახურებულად იხდის და მოთხოვნა მისი გათავისუფლების თაობაზე უსაფუძვლოა.

ცხინვალი აღიარებს, რომ „სახელმწიფო საზღვრის“ დამრღვევებს, როგორც წესი, ადმინისტრაციული ზემოქმედების შემდეგ გადმოსცემენ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს. ვაჟა გაფრინდაშვილის შემთხვევაში ცხინვალი „დანაშაულის ნიშნებს“ ხედავს.

გარდა ამისა, საოკუპაციო რეჟიმი ვაჟა გაფრინდაშვილის ამბავს პოლიტიკურ და პროვოკაციულ სარჩულს უდებს. ამ მხრივ ოკუპირებული რეგიონის ადმინისტრაციის შეფასებები უახლოვდება თბილისის საკრებულოს წევრის, უმრავლესობიდან გამოსული ერეკლე კუხიანიძის ნააზრევს.

ცხინვალში ამბობენ, რომ ვაჟა გაფრინდაშვილი პროვოკაციის მონაწილეა. პროვოკაცია თბილისში შექმნილი პოლიტიკური არასტაბილურობის ნაწილია. პროვოკაციების გახშირება ხდება წინასაარჩევნო კამპანიების დროს. ამ შემთხვევაში საოკუპაციო რეჟიმი საქართველოს სპეცსამსახურებს უკავშირებს. რეჟიმის განცხადებით, ქართული სპეცსამსახურები ეძებენ მოხალისეებს პროვოკაციისთვის. მათივე აზრით, ასეთი მოხალისეა ვაჟა გაფრინდაშვილი.

საოკუპაციო რეგიონში აცხადებენ, რომ ვაჟა გაფრინდაშვილის საკითხი ბევრმა ქართველმა პოლიტიკოსმა გამოიყენა საკუთარი რე-



იტინგის გამოსასწორებლად.

ცხინვალის საოკუპაციო ხელისუფლება მიმართავს დასავლეთის სახელმწიფოებს, მრისხანე განცხადებების გაკეთებამდე შეისწავლონ საქართველოს შიდაპოლიტიკური რეალობა.

დე ფაქტო პრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვს ახალგორელებთან შეხვედრაზე ვაჟა გაფრინდაშვილზე არ უსაუბრია. მან ახალგორის მოსახლეობას, რომლის დიდი ნაწილი ქართველია, განუმარტა, რატომ არის დაკეტილი გადმოსასვლელები საოკუპაციო ხაზზე.

ამ შეხვედრამდე ახალგორის რაიონის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი აცხადებდა, რომ საახალწლოდ რამდენიმე დღით გადმოსასვლელები გაიხსნება.

ბიბილოვის თქმით, გადმოსასვლელები იმიტომ დაიკეტა, რომ თბილისი „შეიჭრა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე“, როცა მოაწყო თავისი ბლოკსაგუშაგო სოფელ წნელისთან (უისტასთან).

— უნდა გავიგოთ, რომ ერთი ქვეყნის მოქალაქეები ვართ. მისი სახელწოდებაა სამხრეთ ოსეთი. ერთი რაიონის პრობლემა ეხება მეორე რაიონს. არ შეიძლება, რომ ლენინგორის მოსახლეობის ღირებულებები მიმართული იყოს კეთილდღეობისკენ იმ დროს, როცა წნელისელები ავტომატების ქვეშ ცხოვრობენ, — აღნიშნა ბიბილოვმა.

შეხვედრის ერთმა მონაწილე ქალმა ბიბილოვს შესჩივლა, რომ საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა გადასახლება, მაგრამ ამის საშუალება არ ეძლევა. ბიბილოვმა ამგვარი პრობლემები რაიონის ადმინისტრაციასა და სამართალდამცავებს დააკისრა. მისი თქმით, ადამიანებს არ უნდა შეექმნათ დაბრკოლებები, თუ სხვაგან გადასახლება ან ახლობლების მონახულება უნდათ.

შეხვედრაზე გაისმა „სამხრეთ ოსეთის“ მოქალაქეების მიღების აუცილებლობის საკითხი.

როგორც ჩანს, ცხინვალის რეჟიმი ახალგორელ ქართველებს აიძულებს, საოკუპაციო მოქალაქეობა მიიღონ, ვაჟა გაფრინდაშვილს კი უახლოეს ხანში არ გამოუშვებენ.

# დიმიტრი კაკუბავა ამირან გიგუაშვილის წინააღმდეგ

## „მან დაარღვია მიხეილ კალანდიას უდანაშაულობის პრეზუმფცია“



27 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი, მოზარდების მკვლელობის საქმეზე დაკავებული მიხეილ კალანდიას ბიძამ, დიმიტრი კაკუბავამ განცხადება გაავრცელა.

კაკუბავა მათი ყოფილი ადვოკატის, ამირან გიგუაშვილის განცხადებას აკრიტიკებს, უშუალოდ მის დისშვილს, მიხეილ კალანდიას კი „ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ „ერთობლივ პროექტს“ უწოდებს.

„მიხეილ კალანდიას საქმეზე სადღეისოდ შექმნილი მდგომარეობა კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით მაძლევს შემდეგი განცხადების გაკეთების როგორც მორალურ, ასევე სამართლებრივ საფუძველს:

ჩემი დისშვილი, მიხეილ კალანდია არის პოლიტიკური პარტიების – „ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ ერთობლივი პროექტი. მათი პოლიტიკური ზრახვების განხორციელების მიზნით, შსს-მ, კერძოდ, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა, მიხეილ კალანდიას დაკავებისთანავე, ოჯახი აიძულა ადვოკატად „აერჩია“ ამირან გიგუაშვილი, რომელმაც გაგვიმწესა ადვოკატად ქალბატონი ანა კოტეტიშვილი, ამ უკანასკნელმა კი პირველსავე სხდომაზე აღასრულა შსს-ს დავალება, როდესაც ბრალდებულთან არასათანადო კონსულტაციის შედეგად მიაღწია სხდომის დახურვას.

წინამდებარე განცხადების გაკეთების საფუძველი გამიმყარდა 2019 წლის 26 დეკემბერს, როდესაც მოვისმინე დაზარალებულ ცოტნე გამსახურდიას ადვოკატის, ამირან გიგუაშვილის მიერ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მეშვეობით გაკეთებული განცხადება, სადაც ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფი, დაზარალებულ ცოტნე გამსახურდიას მიმართ ჩადენილი ქმედება შეაფასა როგორც შეკვეთილი მკვლელობის მცდელობა და იგი შეადარა ქ. თბილისში, ხორავას ჶ4-ში განვითარებულ ტრაგედიას, როდესაც მოკლეს ორი ახალგაზრდა – დავით სარალიძე და ლევან დადუნაშვილი.

ეს მაშინ, როდესაც უკვე დადგენილია, რომ ბავშვებმა სრულიად გულუბრყვილო კონფლიქტის ამოწურვა შეძლეს საკუთარი ძალებით და არავითარი განზრახვა არც ერთს არ ჰქონია ამ შედეგებით საქმის დამთავრებისა, ანუ წინასწარ განზრახვით ვინმეს „აჩეხვისა“ და სხვა უბედურებისა“, – ნათქვამია განცხადებაში.

მიხეილ კალანდიას ბიძა მოუწოდებს მოკლული დავით სარალიძის მამას, ზაზა სარალიძესაც, დაესწროს მიხეილ კალანდიას სასამართლო სხდომებს და პირადად მოისმინოს მოწმეთა ჩვენებები.

„მინდა ვუთანაგრძნო დაზარალებულის უფლებამონაცვლე ზაზა სარალიძეს და მინდა მოვუწოდო მას, დაესწროს სასამართლო სხდომებს, პირადად მოისმინოს მოწმეთა ჩვენებები და მხოლოდ ამის შემდეგ შეაფასოს ინფორმაცია და არა პოლიტიკური ქულების დაგროვებით დაინტერესებული პირების მეშვეობით მოსმენილი გაიზიაროს.

ვაცხადებ, რომ, ადვოკატ ამირან გიგუაშვილს არანაირი სამართლებრივი და ეთიკური უფლება არ გააჩნდა გაეკეთებინა 2019 წლის 26 დეკემბრის განცხადება, როდესაც მან ჩემი დისშვილის, მიხეილ კალანდიას ჯერ კიდევ მიმდინარე საქმეზე დააფიქსირა მისი, როგორც ყოფილი ადვოკატის პოზიცია ბრალთან მიმართებაში, რითაც მან, როგორც ადვოკატმა, დაარღვია მიხეილ კალანდიას უდანაშაულობის პრეზუმფცია, ადვოკატის ეთიკის კოდექსი.

ამ ყოველივეთი ცალსახად ახადა ფარდა



ჩემ ვარაუდს, რომ შსს პოლიტიკური დაკვეთის დაწესებულებაა, როდესაც იგი საპარლამენტო დაკვეთით აკავებს სრულიად უდანაშაულო მიხეილ კალანდიას და ამავდროულად აჩენს მაღალი ხარისხის ეჭვს, რომ ცოტნე გამსახურდიას საქმე არ არის ყოფით ნიადაგზე წარმოშობილი, მისი სცენარისტები დიდი ალბათობით, შსს-სი არიან“, – ნათქვამია დიმიტრი კაკუბავას განცხადებაში, რომელიც, ოჯახის ინფორმაციით, მან ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნა.

# მამუკა ხაზარაძე: „ველოდები, გახარიას პროკურატურაში როდის დაიბარებენ“



პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერი, მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ ელოდება, როდის დაიბარებენ პრემიერ გიორგი გახარიას საგამოძიებო უწყებაში ე.წ. მუქარის წერილთან დაკავშირებით.

ამის შესახებ მამუკა ხაზარაძემ 27 დეკემბერს ჟურნალისტებს განუცხადა.

– მე ველოდები, როდის დაიბარებენ გიორგი გახარიას, რომელმაც ერთი წლის წინ გადმოგვცა ჩვენ მუქარის წერილი. ერთი წელი გავიდა იმ მომენტიდან, როცა მან საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე, ბიძინა ივანიშვილის კარნახით ან დაწერით, გადმოგვცა მუქარის წერილი, რომელიც ერთი წელია ჰაერშია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჩავაბარეთ დედანიც, ჩავაბარეთ ინგლისში გაკეთებული ანალიზებიც და ა.შ. – განაცხადა ხაზარაძემ.

შეგახსენებთ, რომ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ პარლამენტის საკომიტეტო მოსმენაზე განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ, რომელიც ამჟამად პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებს, წინასაარჩევნო პერიოდში მას მუქარის შემცველი წერილი გაუგზავნა.

წერილის მიხედვით, მამუკა ხაზარაძისგან მოითხოვდნენ, რომ „ტვ პირველს“ ხელისუფლების მხარდამჭერი პოლიტიკა გაეტარებინა, თავად ხაზარაძეს გაევრცელებინა წერილი, რომლითაც „ნაციონალურ მოძრაობას“ გააკრიტიკებდა და ტელეკომპანია „არტარეას“ „ობიექტურობის მაღალი ხარისხი ეჩვენებინა“.

# პოლიციამ გორიდან გაუჩინარებული გოგონა იპოვა



22 დეკემბერს გორში მოქმედი მცირე საოჯახო სახლის ბენეფიციარი არასრულწლოვანი გოგონა გაუჩინარდა. საოჯახო სახლის ადმინისტრაციამ გოგონას ადგილსამყოფელის დასადგენად ახლობლებთან გადამოწმება დაიწყო, შემდეგ კი, პოლიციას მიმართა.

სამძებრო სამუშაოები 26 დეკემბრის დილიდან მიმდინარეობდა. ამავე დღეს სამართალდამცავებმა გაუჩინარებული არასრულწლოვნის ადგილსამყოფელი დაადგინეს.

მოზარდი თავს კარგად გრძნობს. აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას დაადასტურა იმ საოჯახო სახლის მენეჯერმა, სადაც თითქმის ერთი წელია გოგონა ცხოვრობს.

– სამართალდამცავებმა გაუჩინარებული მოზარდის ადგილსამყოფელი დაადგინეს, გოგონა კარგადაა. მოგეხსენებათ, არასრულწლოვანზეა საუბარი და ამიტომ, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე მეტს ვერაფერს გეტყვით, მთავარია, რომ ბავშვი კარგადაა, – განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ გორში მოქმედი საოჯახო სახლის მენეჯერმა ხვიჩა პოსოშვილმა.

# პეტრე მამრაძე: „ხელისუფლება ერთმანეთის მიყოლებით უშვებს პოლიტიკურ იდიოტიზმებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– შეცდომები რა იყო?***

– ახლა უკვე აღარც მახსოვს. პანკისის ხეობაში შევარდნა წელს გაზაფხულზე იყო?

***– შევარდნაში რას გულისხმობთ, ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით პრობლემები რომ შეიქმნა?***

– შევარდნა შეიძლება ზუსტი სიტყვა არ არის, მაგრამ ვგულისხმობ ჯარისა თუ პოლიციის შეყვანას. ამწეები რომ იწვოდა, წლის დასაწყისში ხომ იყო. ასევე სრულიად მოწმენდილ ცაზე გავრილოვის ინციდენტის მოწყობა.

***– გავრილოვის ინციდენტმა იმდენად დიდი გავლენა მოახდინა, რომ პოლიტიკური ისტორია შეცვალა? მაგალითად, რა შეცვალა?***

– არაფერი ისეთი. როგორი მარაზმიც იყო, ისეთ მარაზმად დარჩა. უბრალოდ, გავრილოვის ისტორიამ ერთი მხრივ გამოიწვია სანქციები, ფრენების შეწყვეტა, სპეციალისტების აზრით, საქართველომ სულ ცოტა რამდენიმე ასეული მილიონი ევრო დაკარგა.

***– რომ არ ყოფილიყო ისეთი რეაქცია გავრილოვის პარლამენტში მოხვედრაზე, რუსეთის მხრიდან რაიმე დათმობა, ან დათბობა ურთიერთობებში იქნებოდა?***

– რაც შეეხება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, დათბობა და დათმობა კატეგორიულად არ იქნებოდა, რადგან რუსეთმა ჯერ კიდევ 11 წლის წინ გამოაცხადა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსის შეცვლაზე არავის არასოდეს აღარ დაელაპარაკება, რომ მათთვის ეს საკითხი საბოლოოდ დაიხურა. ამ სიტყვას ნამდვილად ასრულებენ. სწორედ ამიტომ მარაზმია სალომე ზურაბიშვილის მხრიდან საუბარი იმაზე, რომ ფორმატი უნდა შეიცვალოს და რაღაც ნორმანდიული ფორმატის მსგავსი უნდა შეიქმნას.

***– იქნებ პრეზიდენტს უნდა, ამ საკითხში რაღაც ცვლილება და გარღვევა მოხდეს და ამიტომ აყენებს ამ იდეას. რატომ არის ცალსახად უარყოფითი?***

– პრეზიდენტის ეს იდეა უარყოფითი იმიტომ არის, რომ მხოლოდ აღიზიანებს, როგორც საქართველოს დასავლელ პარტნიორებს (სხვა მეგობრები საქართველოს არ ჰყავს), ასევე წყალს ასხამს რუსეთის ხელისუფლების აგრესიული წარმომადგენლების წისქვილზე. სხვა არაფერი. გავრილოვის ღამემ ასევე დიდი საშუალება აჩუქა სააკაშვილის ნაცისტებს.

***– რას იტყვით, საერთოდ, ოპოზიციაზე, რომელშიც სააკაშვილის ნაცისტებიც მოიაზრებიან? მათი დიფერენცირება შეიძლება თუ ისინი ერთნი არიან?***

– პირველი – რაც შეეხება ნაცებს და მათ სატელიტებს, ვინც ამას წინათ რუსთაველის გამზირზე ერთად დადგნენ და ლოზუნგი ისროლეს ყველა ერთად ერთის წინააღმდეგ...

***– ეს ლოზუნგი ახალი არ არის, 30 წელია ამ ლოზუნგს ატრიალებს ოპოზიცია.***

– თქვენ დამასწარით, ეს მინდოდა მეთქვა. დღევანდელი ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ერთიანი მასაა. მათ აერთიანებთ მხოლოდ ის, რომ საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევად მზად არიან გამოიყენონ ნებისმიერი ხერხი. მათი მრწამსია, მიზანი ნებისმიერ ხერხს ამართლებს. მათ შორის, მზად არიან მიაყენონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს ნებისმიერად დიდი ზიანი.

მინდა ყველას შევახსენო – მე სიტყვა ოპოზიციას არასოდეს ვხმარობ. ოპოზიციას წარმოადგენენ ის პოლიტიკური ჯგუფები, ვინც ერთგულია ეროვნული ინტერესების და აქვთ განსხვავებული ხედვა პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტზე. ეს მადლენ ოლბრაიტის სიტყვებია, რომელიც 1995 წელს საქართველოში წარმოთქვა. მაშინ ოლბრაიტი გაოგნდა, ოპოზიციას რომ შეხვდა და ეს თქვა. ოლბრაიტმა, როგორც დიპლომატმა, თავი შეიკავა და არ თქვა, ასეთ ოპოზიციას რა ჰქვია, მაგრამ მე გეტყვით, ესენი არიან სახელმწიფოსა და ხალხის მტრები.

***– ამ ოპოზიციიდან, მაგალითად, ახლად შექმნილ „ლელოსთან“ კიდევ ორი პარტია გაერთიანდა, უსუფაშვილის „შენების მოძრაობა“ და „ახალი მემარჯვენეები“. მათში რაიმე პერსპექტივას ხედავთ?***

– არა, აბსოლუტურად უპერსპექტივო შენაერთია.

***– რატომ არის უპერსპექტივო, ახალი ძალა ხომ არის?***

– იმიტომ, რომ საქართველოში (ბოლო წლებში დასავლეთშიც) ადამიანებს აღარ აინტერესებთ პარტიული პროგრამები, არამედ ხმას აძლევენ მათთვის დამაჯერებელ, ქარიზმატულ ლიდერებს, მათ დემაგოგიას.

***– სამაგიეროდ, „ლელოსთან“ გაერთიანებულმა „შენების მოძრაობის“ ლიდერმა და პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ისინი მომხრე არიან არჩევნების და არ ემხრობა რევოლუციას, როგორც ამას ნაცმოძრაობის ლიდერები და ნინო ბურჯანაძე აცხადებენ, რომ საქმე რევოლუციისკენ მიდის. ეს ამ პოლიტიკური გაერთიანებისთვის დადებითი არ არის?***

– ეს დადებითია, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებზე არანაირ გავლენას არ ახდენს, ვინაიდან „ლელოს“ არავითარი პოპულარობა და ნდობა ხალხში არ აქვს.

***– ნდობა რატომ ვერ მოიპოვა?***

– იმიტომ, რომ არც ხაზარაძე, არც ჯაფარიძე და არც ერთი სხვა, ვინც გამოჩნდა „ლელოს“ რიგებში, ნამდვილად არ არის ის ქარიზმატული ფიგურა, რომელსაც შეუძლია მასების მობილიზაცია.

***– 2019 წელი ერთგვარად მოსამზადებელი პლატფორმა გამოდგა 2020 წლის არჩევნების მძაფრი საარჩევნო წლისთვის. რა გავლენა ექნება 2019 წლის მოვლენებს 2020 წლის არჩევნებზე?***

– დიდად არაფერი, ვინაიდან საქართველო რჩება იმ ქვეყნად, სადაც არჩევნების ბედი ხშირად ბოლო ორი ან ერთი თვის, ან თუნდაც ორი კვირის განმავლობაში წყდება.

***– ნაცები ახლავე აცხადებენ, რომ ოპოზიცია იგებს. პოზიცია-ოპოზიციის დაპირისპირება რით დასრულდება?***

– პროგნოზირება შეუძლებელია, რადგან მმართველი დაჯგუფება მუდამ მზად არის, თვითონ, საკუთარი ხელით გამოაცხოს პოლიტიკური იდიოტიზმი. და ყველა ჯურის ნაცებს მისცეს საშუალება, მოაწყონ პროვოკაციები, აქციები და ა.შ.

ამ პირობებში „ოცნებისადმი“ ნდობა და პატივისცემა იმდენად დაეცა, ხალხში ხუმრობენ, 2020 წელს „ოცნება“, შეიძლება, სააკაშვილმა, ბოკერიამ და უგულავამ ერთად აღებულმა ვერ გადაარჩინონ.

***– თვითონ ოპოზიციისადმი ნდობა მაღალია?***

– მე რასაც ვანგარიშობ, ძალიან დაბალია. როგორც ჩანს, სააკაშვილს ექნება თავისი 12 თუ 14%, რომელიც მზად არის ნებისმიერ ამინდში მივიდეს არჩევნებზე. შესაბამისად, თუ ამომრჩეველთა ნახევარი გამოცხადდა, 28%-ად გადაიქცევა, რაც მოხდა 2016 წელს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თუ შარშან საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურზე.

თუმცა, იგივე სააკაშვილის წყალობით ეს პროცენტი არ იზრდება, ვინაიდან მისი უარყოფითი რეიტინგი გაცილებით დიდია დადებითზე და არანაკლებად მყარი.

***– დადებითი არაფერი გახსენდებათ? თუნდაც ის, რომ კიდევ ერთხელ ომში არ გავეხვიეთ, ხომ იყო წინაპირობები, ვთქვათ, იგივე ცხინვალის რეგიონში?***

– ამაზე უსასრულოდ ბევრის თქმა შეიძლება. ხომ შეიძლება ქოცებს კიდევ უარესი გაეკეთებინათ – ერთ გოგონას კი არ დაეკარგა თვალი, არამედ თვალი 300 გოგონასთვის გამოეთხარათ. ეს ხომ დიდი გამარჯვებაა, რომ მხოლოდ ერთს...

***– სამწუხაროდ.***

– მაგალითად, ფოტოკორესპონდენტ მურადოვს 11 რეზინის ტყვია ჩაუსვეს ზურგში.

***– ჩვენ ისევ უარყოფითზე ვსაუბრობთ.***

– პირიქით – დადებითზე ვსაუბრობთ. ხომ შეეძლოთ 51 ტყვია ჩაესვათ და კაცი კონტუზიით მომკვდარიყო. ასეთი რამდენია, იცით? ეს ყველაფერი დადებითია. მე სერიოზულად ვამბობ, როცა საქმე გვაქვს პოლიტიკურად შეურაცხად ადამიანებთან.

ივანიშვილის განცხადება, რომ ტრამპს, კონგრესსა და სენატს მივწერ, როგორ იხარჯება თურმე ამერიკელი გადამხდელის ფული არასამთავრობოებზე, რომლებიც თურმე ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, ანეკდოტად დადის როგორც საელჩოებში, ისე – ამერიკაში. მგონი, ინფორმაცია მიაწოდეს კიდეც.

***– თქვენ ჩემთვის არაერთხელ ინტერვიუებში გითქვამთ, რომ ივანიშვილს შემაკავებელი ფუნქცია აქვს.***

– ძალიან დიდი. ივანიშვილი რომ არა, ეს მულტიმილიონერები, ვინც კაზინოებიდან მრავალ მილიარდს ღებულობს, ბიტკოინებით და ჩვენს ხარჯზე, სხვადასხვა მონოპოლიებიდან (ქობულიამ ხომ თქვა, არ შეიძლება ეკონომიკა მონოპოლიებით და ფარული გარიგებებით იმართებოდეს. ასე იმართება და ქობულიაც იმიტომ მოხსნეს) ეს ადამიანები ციხეებში დააბრუნებდნენ იგივე სადისტურ რეჟიმს, პოლიციაც და უშიშროებაც მათი ინსტრუმენტი გახდებოდა. ერთი სიტყვით, დაბრუნდებოდა ავტორიტარული კლეპტოკრატია, ხაზინის ქურდების დიქტატურა, ისეთივე ავტორიტარული რეჟიმი, როგორიც იყო სააკაშვილის დროს.

2019, 28 — 29 დეკემბერი, №308

# ტრამპი: „თურქეთი ცდილობს, შეაჩეროს ის სასაკლაო, რომელსაც ირანი, რუსეთი და სირია იდლიბში აწყობენ“



აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის თქმით, სირიის რეჟიმი და მისი მოკავშირეები იდლიბის პროვინციაში ათასობით მშვიდობიან მოქალაქეს ხოცავენ.

„ასე ნუ იქცევით“, — დაწერა პრეზიდენტმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე, სადაც რუსეთი და ირანი სირიის ბაშარ ალ-ასადის მთავრობის მხარდაჭერაში დაადანაშაულა.

მისი თქმით, თურქეთი ცდილობს, შეაჩეროს ეს „სასაკლაო“, რომელმაც 100.000 ადამიანი იძულებული გახადა, დაეტოვებინა საკუთარი სახლები. „რუსეთი, სირია და ირანი იდლიბის პროვინციაში ათასობით უდანაშაულო მშვიდობიან მოქალაქეს ხოცავენ. თურქეთი ცდილობს, ეს ხოცვა-ჟლეტა შეწყდეს“, — აცხადებს ტრამპი.

რუსეთის მხარდაჭერილი სირიის ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი ქვეყნის იდლიბის პროვინციაში მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს. რეგიონზე სრული კონტროლის მოსაპოვებლად სამთავრობო ძალები ინტენსიურ საჰაერო დაბომბვებს ახორციელებენ.

სირიაში მოქმედი ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციის ინფორმაციით, თავდასხმების შედეგად ათობით ადამიანი დაიღუპა, რომელთა შორის ბავშვებიც არიან, ხოლო დაახლოებით 100.000-მა ადამიანმა ტერიტორია დატოვა, რათა თავშესაფარი თურქეთში იპოვოს.

მიმდინარე მოვლენებს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი გამოეხმაურა. მისი თქმით, ქვეყანა ლტოლვილთა დამატებით ტალღას ვეღარ გაუმკლავდება. მედიის ცნობით, ანკარა დამასკოსა და მოსკოვს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს იდლიბის დაბომბვა.

## სპორტი

# ვატიკანს ოლიმპიადაზე მონაწილეობა სურს



ვატიკანის წარმომადგენლის განცხადებით, სავსებით რეალურია ვატიკანის მონაწილეობა პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ქვეყნების ალუმში.

ქალაქი-სახელმწიფოს სპორტის მინისტრ მონსინიორ მელჩორ სანჩეს დე ტოკას თქმით, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ბრწყინვალე ურთიერთობები აქვთ და ვატიკანის ოლიმპიური კომიტეტის შექმნა სურთ, რათა ეს ურთიერთობები უფრო გამყარდეს.

**სანჩეს დე ტოკა:**

— ვატიკანის ოლიმპიური კომიტეტის შექმნა გვსურს. პროფესიული სპორტი ინდუსტრიად, უდიდეს ბაზრად გარდაიქმნა. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ. ხალხს მეტად იზიდავს სპორტის სანახაობრიობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სპორტს აქვს რაღაც სულიერი ჩამწვდომი. მიუხედავად ამისა, ამ სფეროს ეთიკური რეგულირების კოდექსის მიღებაში უნდა დავეხმაროთ, სადაც ადამიანები ყოველთვის სპორტის შუაგულში დაიკავებენ ადგილს. ეკლესიას სპორტის ღირებულებებში ცვლილებების შეტანა შეუძლია.

კითხვაზე, ვატიკანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას უნდა ველოდოთ თუ არა ახლო თუ შორეულ მომავალში, დე ტოკა პასუხობს:

— ასე ვიტყოდი, სადღაც შუალედში უნდა ველოდოთ. დავიწყეთ მძლეოსნობით. მონაკოში ვეწვიეთ მსოფლიო მძლეოსნობის შტაბ-ბინას და ჩვენი ფედერაციის გაწევრიანებაზე ვიმსჯელეთ. თუ საერთაშორისო ფედერაციისგან აღიარებას მივიღებთ, მაშინ სხვათა შემთხვევაში საქმე გაგვიიოლდება. როდესაც სპორტის ხუთი სახეობა შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებში გაწევრიანდება, მაშინ შეგვეძლება ვიფიქროთ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კონსტიტუციაზე, მის ჩამოყალიბებაზე და ერთ დღეს ოლიმპიურ თამაშებზეც გამოვალთ.

დე ტოკა დასძენს, რომ პარიზი 2024-ში ვატიკანის მონაწილეობა მისთვის სავსებით რეალური ჩანს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# რამდენიმე ტყვიით დაჭრილმა მამაკაცმა ლუდი მოითხოვა

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ მოსკოუში სროლის შედეგად დაჭრილმა მამაკაცმა ლუდი მოითხოვა.

მამაკაცმა ტყვიით რამდენიმე ჭრილობა ტაქსის მძღოლთან 20 დოლარის გამო დაწყებული კონფლიქტის დროს მიიღო. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ მძღოლმა მას ესროლა, შემდეგ ძირს დაგდებულს თავზე დაადგა და დაჭრილს კიდევ რამდენიმე ტყვია დაახალა.

სროლა ავტოგასამართი სადგურის მახლობლად მოხდა. მისმა თანამშრომლებმა დაჭრილს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და 911-ზე დარეკეს.

— წესრიგში ვარ, — ისმის დაჭრილი მამაკაცის ხმა ექსტრემალური სამსახურის ოპერატორთან საუბრის ჩანაწერში, — ლუდი მომიტანეთ!

— არ მისცეთ არაფერი, — ურჩევს ოპერატორი ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლებს.

# დიდი თეთრი ზვიგენი მეთევზეების ნავს თავს დაესხა



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის სანაპიროსთან დიდი თეთრი ზვიგენი თავს დაესხა ნავს, რომელშიც სამი მეთევზე იმყოფებოდა.

დაახლოებით 4,5 მეტრი სიგრძის მტაცებელი თევზი სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ნავის გვერდით მას შემდეგ, რაც მეთევზეები ნაპირს რამდენიმე კილომეტრით დაშორდნენ და სათევზაო ბადეები გაშალეს.

— ის შემდეგ ისევ წყალში ჩაეშვა, მაგრამ ჩვენ ვგრძნობდით, თუ როგორ დაცურავდა ჩვენ ქვევით და როგორ ეჯახებოდა ნავის ფსკერს, — იხსენებს ერთ-ერთი მეთევზე.

მისი თქმით, ზვიგენმა ნავს გაუსწრო, ჯერ წინიდან მოუარა, შემდეგ კი რამდენიმეჯერ გვერდიდან უბიძგა, ბოლოს კი ნავის კიდეს კბილებით ჩააფრინდა და მისი მოკვნეტა ცადა.

— ჩვენ დაუყოვნებლივ ავამუშავეთ ძრავა და გავცურეთ. ის მთელი გზა უკან მოგვდევდა, — განაცხადა მეთევზემ.

# ფოსტალიონმა ალმოდებული სატვირთოდან საშობაო საჩუქრები გადაარჩინა



ამერიკის კანზასის შტატის ქალაქ ოსავატომიში ფოსტის სამსახურის თანამშრომელმა საშობაო საჩუქრებიანი ამანათები ალმოდებული სატვირთოდან გადმოტვირთა და განადგურებას გადაარჩინა.

ფოსტალიონი, რომლის სახელიც უცნობი დარჩა, სატვირთო მანქანით ამანათებს არიგებდა. ერთ მომენტში მან ნამწვის სუნი იგრძნო და შენიშნა, რომ ძრავიდან ბოლი ამოდიოდა.

ფოსტალიონი მიხვდა, რომ დამოუკიდებლად ხანძრის ჩაქრობას ვერ შეძლებდა და გადაწყვიტა, ტვირთი გადაერჩინა. მან ალმოდებული მანქანიდან სასწრაფოდ გადმოტვირთა ამანათები და მიწაზე ისე დაალაგა, რომ მათ ცეცხლი ვერ მისწვდომოდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა ცეცხლი ჩააქრეს. ამ ინციდენტის შედეგად არც ფოსტალიონი დაშავებულა და არც ტვირთი დაზიანებულა. ხანძრის მიზეზი მექანიკური დაზიანება გამოდგა.

# სერფერი ზვიგენის ყბებს გადაურჩა

ამერიკის კალიფორნიის შტატის სანაპირო წყლებში ზვიგენის ყბებისგან თავდახსნილი სერფერი გადაარჩინეს. აღნიშნული შემთხვევა ვიდეოზე იქნა გადაღებული და ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინციდენტი შაბათს კუნძულ სანტა-როზას მახლობლად მოხდა. მამაკაცი, რომლის ვინაობა უცნობია, სერფინგით იყო დაკავებული, როდესაც მას თავს ზვიგენი დაესხა. მტაცებელმა მას ფეხზე უკბინა.

მის მახლობლად მყოფმა მეგობარმა ის ნავზე აიყვანა, ფეხზე ქამარი შემოუჭირა სისხლდენის შესაჩერებლად და სამაშველო სამსახური გამოიძახა.

მაშველებმა დაშავებული შვეულმფრენით უახლოესი ქალაქის სანტა-ბარბარას საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ მას აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. იმავე საღამოს დაშავებულის მდგომარეობა სტაბილურად შეფასდა.

ამ დროისთვის ხელისუფლება დაშავებულის იდენტიფიცირებით არის დაკავებული. თავდამსხმელი ზვიგენის სახეობა უცნობია.

# თურქეთში მიწისძვრა მოხდა



27 დეკემბერს, დილით, თურქეთში 4,9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მიწისქვეშა ბიძგები ადგილობრივი დროით დილის 10 საათზე ქვეყნის აღმოსავლეთში დაფიქსირდა.

თურქეთის კატასტროფისა და საგანგებო მდგომარეობის სამსახურის ცნობით, ბიძგები 7 კილომეტრის სიღრმეში დაფიქსირდა.

# ყაზახეთში თვითმფრინავი ჩამოვარდა

## 14 ადამიანი დაიღუპა



ავიაკომპანია ბეკ ეირის კუთვნილმა სამგზავრო თვითმფრინავმა, რომელშიც 95 მგზავრი და ეკიპაჟის 5 წევრი იმყოფებოდა, ყაზახეთის ქალაქ ალმათთან კატასტროფა განიცადა.

თვითმფრინავმა, რომელსაც რეისი ალმათიდან დედაქალაქ ნურ-სულთანში უნდა განეხორციელებინა, აფრენისას სიმაღლე დაკარგა და ჯერ ბეტონის ღობეს, შემდეგ კი ორსართულიან შენობას შეეჯახა.

ავიაკატასტროფის შედეგად 14 ადამიანია დაღუპული. 22 ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

# ირანის ატომურ სადგურთან ძლიერი მიწისძვრა მოხდა



ირანის ბუშეჰრის ატომურ ელექტროსადგურთან ახლოს 27 დეკემბერს, დილით, 5:23 საათზე, მიწისძვრა მოხდა.

მიწისძვრის სიმძლავრემ 5,1 მაგნიტუდა შეადგინა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ირანის ატომური ელექტროსადგურიდან 53 კილომეტრში დაფიქსირდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# მამაკაცი ღუმელში შეძვრა და ხანძარს გადაურჩა



ავსტრალიის ქალაქ ბალმორალის მკვიდრი ტყის ხანძრის დროს თვითნაკეთ ღუმელში შეძვრა და გადარჩა.

მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან გაფრთხილებისა, 67 წლის მხატვარი სტივ ჰარისონი სახლში დარჩა იმის იმედით, რომ ქონების მოახლოებული ტყის ხანძრისგან დაცვას შეძლებდა, მისი მეუღლე კი გაემგზავრა.

როდესაც ცეცხლი სახლს მიუახლოვდა, ჰარისონი მიხვდა, რომ თავის გადარჩენაზე უნდა ეზრუნა. მან თავის მანქანასთან მიირბინა, მაგრამ გზა უკვე ცეცხლის ალში იყო გახვეული.

მაშინ მამაკაცი თავისივე გაკეთებულ გამოსაწვავ ღუმელში შეძვრა და იქ მოიმარაგა ცეცხლმქრობი, წყალი, ნოუთბუქი და ხანძარსაწინააღმდეგო ლაბადა.

ჰარისონმა თავშესაფარში ნახევარი საათი დაჰყო, სანამ ირგვლივ ხანძარი მძვინვარებდა. მისი თქმით, ირგვლივ ყველაფერი ნარინჯისფრად იყო განათებული, მას კი ძალიან ეშინოდა. ხანძარმა გაანადგურა მისი ფარდული და სახელოსნო, სადაც თიხის ნაკეთობებს ამზადებდა.

ტყის ხანძრის შედეგად ბალმორალისა და ბაქსტონის რაიონში მინიმუმ 20 ნაგებობა განადგურდა, მათ შორის 12 საცხოვრებელი სახლი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები გიორგი, გოჩა, თამარ და თინათინ უძილაურები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მერაბ უძილაური**

პანაშვიდები: 27, 28 დეკემბერს, სამგორი, კახეთის გზატკეცილი, ჯიქიას (ყოფილი ზანდუკელის) 37;
გამოსვენება: 29 დეკემბერს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან.

„ახალი თაობა“ უსამძიმრებს გიორგი და გოჩა უძილაურებს მამის

**მერაბ უძილაურის**

გარდაცვალების გამო.



## ოთარ ავალიშვილი — ნათელი ხსოვნა

### აღიარებული პედაგოგის, მეცნიერისა და ღირსეული მამულიშვილის დაბადებიდან 90 და გარდაცვალებიდან 20 წლისთავის გამო

დაიბადა 1929 წლის 29 დეკემბერს ზუგდიდში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში. იქვე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1948-53 წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეუფლა ეკონომისტის პროფესიას. მერმე ეკონომისტად იმუშავა კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და „საქმშენსახპროექტში“, თუმცა მალევე თავისი მომავალი მეცნიერებას დაუკავშირა. 1958-1961 წლებში ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი იყო, შემდეგ – იმავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ხელდასხმით, უკვე ჩამოყალიბებულმა მეცნიერ-მკვლევარმა და პედაგოგმა, ადეკვატური სამეცნიერო ხარისხით, თავის მშობლიურ უნივერსიტეტს მიაშურა. 1977 წელს არჩეულ იქნა დოცენტის თანამდებობაზე (რაც დღევანდელ კვაზირეფორმატორთა მიერ გაუფასურებულ პროფესორის წოდებაზე აღმატებულია), მალე კი თსუ-ის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ დაინიშნა. სწორედ აქ გამოვლინდა მისი მაქსიმალური შესაძლებლობები და უნარი, ყოფილიყო ახალგაზრდების პროფესიული დაოსტატებისა და მათი სრულყოფილ პიროვნებებად ჩამოყალიბების რჩეულ შემოქმედთა ღირსეული წევრი. ამიერიდან მისი ძირითადი და საყვარელი საქმიანობა, სალექციო მუშაობასთან ერთად, გახდა სტუდენტებთან ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობა. იგი ფაკულტეტის თითქმის ყველა სტუდენტს იცნობდა, იცოდა მათი სწავლისა და ცხოვრების პერიპეტიები და მუდამ მათ გვერდით იდგა. ლექტორიც ერთ-ერთი გამორჩეული იყო – საოცრად მიმზიდველი, ლოგიკურ-მეცნიერულად გამართული და, რაც მთავარია, სტუდენტთათვის ადვილად გასაგები და ასათვისებელი ლექციებით. მის ხელში ათასობით სტუდენტმა გაიარა და თითქმის ყველა მადლიერი იყო მისი სალექციო თუ აღმზრდელობითი მოღვაწეობით, რამეთუ ყველას თავს ევლებოდა მამაშვილური სიყვარულით. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, იგი დაკავებული იყო ქვეყნისათვის სასარგებლო სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმიანობით. ამასთან, ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე ნაშრომი არასამრეწველო საწარმოთა ეკონომიკისა და ორგანიზაციის აქტუალურ საკითხებზე.

ბატონი ოთარი ჭეშმარიტი ქართველი კაცი იყო. მას ქვეყნის წინსვლაში თავისი წვლილი შეჰქონდა, ხარობდა მისი წარმატებით და გულს უკლავდა ყოველივე წარუმატებლობა ერისა და ქვეყნის განვითარებაში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ფიზიკურად და სულიერად სავსებით ჯანსაღმა ქვეყნისთვის გულანთებულმა კაცმა ვერ გადაიტანა პუტჩისტების მიერ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობა...

იგი უკვე ოცი წელია, ფიზიკურად ჩვენთან აღარაა, მაგრამ მისი შინაარსიანი ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი თავადური წარმომავლობის მოკრძალებული სილაღე, კოლხურ დარბაისლობასთან შედუღაბებული, მთელი თავისი სულიერებით ამშვენებს ჩვენს ყოველდღიურობას, თავის დიდ ოჯახს, სანათესავო-სამეგობროს, რაც მთავარია, სრულიად საქართველოს.

საამაყო და მისაბაძია ბატონი ოთარის ოჯახი და შთამომავლობა – ღირსეული მეუღლე, ქალბატონი თინა ავალიშვილი (თსუ-ის ხანგრძლივსტაჟიანი თანამშრომელი) – 20 წელია, მეუღლის გარეშე შესაშური სულიერი ჰარმონიით უძღვება სასახელო შვილებს, მრავალრიცხოვან შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს, თავის საამაყო მძახლებსა და სხვა მოყვრებთან ერთად. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ბატონი ოთარი იყო ბრწყინვალე მეუღლე, მამა და ბაბუა, ასევე სამი დის დიდი მოამაგე. სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო ქართული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ერთგული მიმდევარი და დამცველი, სიყვარულის, ჰუმანურობის, ზნეობის, ქრისტიანული სულიერების პიროვნება. მას ამშვენებდა ღვთისაგან ბოძებული გულისხმიერება, ადამიანთა ბუნებაში ღრმად წვდომის უნარი. მის გვერდით ყოფნა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ყველას. იგი ჩვენი გამორჩეული მეგობარი, ანუ მეგობრობის ბაირახტარი იყო. მას კარგად ჰქონდა გათავისებული ის, რომ ყოველ ადამიანს ამქვეყნად ღვთისმიერი გარკვეული მისია აკისრია, რაც მან პირნათლად აღასრულა და, ყველას წინაშე ვალმოხდილი, სამუდამო სასუფევლის მკვიდრი გახდა.

სასიამოვნოა, რომ მისი ბრწყინვალე ადამიანურობის მახასიათებლები, მეტ-ნაკლებად, მის შთამომავლობაში განსხეულდა, თვითონ კი მიებარა მაღალ ღმერთს, როგორც ცოდვებისაგან განწმენდილი. ფრიად დასანანია, რომ ნაადრევად მოგვაკლდა ამ ღვთისნიერი ადამიანის გვერდით დგომა, სითბო და სიყვარული, რასაც ყველა ჩვენგანი გრძნობდა და არც არასოდეს განელდება.

*უახლოესი მეგობრების სახელით, რევაზ გოგოხია, ნუგზარ პაიჭაძე, ლონგი ფარცვანია*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კრიშტიანუ რონალდუ: „ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ დავლიე“

პორტუგალიის ნაკრებისა და ტურინის იუვენტუსის შემტევი კრიშტიანუ რონალდუ ახლო მომავალში საფეხბურთო კარიერის დასრულებაზე არც კი ფიქრობს, მეტიც – ფეხბურთელი მოტივირებულია და სურს, ახალი სიმაღლეები დაიპყროს.

რონალდუ მომავალში სამწვრთნელო საქმიანობის დაწყებას არ აპირებს, თუმცა დასძენს, რომ შესაძლოა, ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალოს და ამ პროფესიას მიჰყოს ხელი.

***– როგორ მოგმართო, კრიშტიანუ თუ კრ7?***

– როგორც მოგესურვება. პირადად ჩემთვის სიტუაცია უცვლელია – სახლში რონალდუს მეძახიან, სკოლაში კრიშტიანუს მეძახდნენ, კლუბში – რონის ან კრიშს, ფანები – კრ7-ს.

***– კრ7 ხომ მსოფლიო მასშტაბის ბრენდია. გსურთ, ამ მიმართულებით განაგრძოთ მუშაობა საფეხბურთო კარიერის შემდეგ, ანუ მსოფლიო მნიშვნელობის გახდეთ?***

– არ დაგიმალავთ და საფეხბურთო სამყაროს მიღმაც ხდება მნიშვნელოვანი საქმეები. ჯერჯერობით ფეხბურთი უპირველესია, მაგრამ აუცილებელია, გლობალურად ვიფიქროთ.

***– როგორ შეაფასებ იტალიურ ჩემპიონატს სირთულის თვალსაზრისით, 1-დან 10 ქულამდე?***

– 7.

***– ვინ არიან ყველაზე ძლიერი მცველები?***

– ჯორჯო კიელინი, ლეონარდო ბონუჩი, მატეის დე ლიხტი. კიელინის წინააღმდეგ აქამდეც მითამაშია და პირადად ჩემთვის ეს ნამდვილი გამოწვევა იყო, თუმცა მეტი არავინ მახსენდება, სწორედ ჩამოთვლილები არიან საუკეთესონი.

***– ჩემპიონთა ლიგა თუ სერია ა?***

– რადიკალურად განსხვავებულ თემაზე ვსაუბრობთ. მიმაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგაზე ძლიერი ტურნირი არც ერთი არ არის. ბუნებრივია, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე არ ვსაუბრობ. ამ ტურნირებზე ასპარეზობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

***– იუვეში ბედნიერი ხარ?***

– არაერთხელ ვთქვი, რომ აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს. კლუბს საოცარი კულტურა და ფილოსოფია გააჩნია. დიახ, ძალიან ბედნიერი ვარ ტურინში ყოფნით. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, რომლისგანაც სიამოვნებას ვიღებ.

***– პირველი, რაც ტურინში გახსენდება.***

– ბევრი მომენტია, თუმცა, თავიდან დავიწყოთ, როდესაც სტადიონზე პრეზენტაცია შედგა. კარგად მახსოვს სტადიონზე პრეზენტაცია, ემოციური იყო. ქომაგები იყვნენ, ჩემი ოჯახი, მეგობრები, მათ შორის პრეზიდენტი ანდრეა ანიელიც. იუვეში ყველაფერი მომწონს, დიდი კულტურის გუნდია, საუკეთესო იტალიური კლუბი, ზურგს უდიდესი ისტორია უმაგრებს. კმაყოფილი ვარ აქ ყოფნით, იუვესთან ერთად ბევრი ტიტულის მოგება მინდა. ნამდვილად მომწონს კულტურა, არა მხოლოდ იუვეში, ზოგადად იტალიური კულტურა.

***– სერია ა-ს საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნია?***

– მე დამასახელეს და ახლა მე ვარ. ვნახოთ, ვინ იქნება მომდევნო წელს... სერია ა-ში ბევრი დიდი თვისებების ფეხბურთელია. ამიტომაც უფრო შესანიშნავია, რომ კოლეგებმა საუკეთესოდ დამასახელეს. მადლობას ვუხდი მათ ამისთვის და მოუთმენლად ველოდები გამარჯვებას მომავალ წელს.

***– გოლი, რომელიც ყველაზე კარგად დაგამახსოვრდა.***

– იუვესთან გატანილი „მაკრატელა“ ჩემი კარიერის საუკეთესო გოლია, ჯიჯი ბუფონის წინააღმდეგ. უნიკალური გოლი უნიკალურ სტადიონზე, დიდი გუნდის კარში, რომლის შემდეგაც მეტოქის გულშემატკივრები ფეხზე წამოდგნენ და ტაში დამიკრეს. განა ეს დაუვიწყარი არ იყო?

ყოველთვის, როდესაც ამ წლებში ბუფონს ვხვდებოდი, ის შესანიშნავ ადამიანად მეჩვენებოდა, მხიარულად და პოზიტიურად. ამ გოლის შემთხვევაშიც კი დაადასტურა ეს. ქათინაურები მითხრა, შესანიშნავი გასახსენებელია მისთვისაც, მიუხედავად იმისა, ჩემგან ასეთი გოლი გაუშვა. მაგრამ ის ზუსტად ისეთია, როგორიც მეჩვენებოდა. ახლა ამაში ყოველდღე ვრწმუნდები. დიდსულოვანი, შესანიშნავი ადამიანია, ყოველდღე მაოცებს.

***– როგორ დაიბადა გოლის აღნიშვნის ჟესტი?***

– ჯერ იყო სიუუ. როდესაც რეალთან ერთად მოვიგე, ყველა ამას იმეორებდა და არ ვიცი, რატომ. შემდეგ ჩელსისთან ამერიკული ტურნეს ფარგლებში მატჩი გავმართეთ და გატანილი გოლის შემდეგ მისი აღნიშვნა სწორედ ასე გადავწყვიტე. ბევრი მეკითხებოდა, ეს რატომ ვქენი, მაგრამ პასუხი არ მქონდა. ეს იყო თავისთავად და ბუნებრივად განხორციელებული.

***– როგორ შეადარებდი კარიერის დასაწყისსა და ახლანდელ პერიოდს?***

– 18 წლის ასაკთან შედარებით, ყველაფერი შეიცვალა. იმ დროს, როდესაც ფეხბურთის თამაშს ვიწყებდი, სამყაროს სხვანაირად ვუყურებდი. ეს იყო უფრო გულუბრყვილო, სპონტანური, ჯადოსნური ვნება. დღეს ფეხბურთის თამაშისთვის იგივე დიდი მო-



ტივაცია მაქვს – ბედნიერი ვარ თამაშით, მაგრამ ახლა პრიორიტეტი სხვა რამეებია: უნდა მოვიგო, აღვმართო ტიტულები, ყოველთვის ტოპსიმაღლეზე უნდა ვიყო. იმ დროს არ მქონდა ეს აზრი, მხოლოდ სიამოვნების მიღებაზე ვფიქრობდი, ახლა პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მაგრამ ჩემი მოტივაცია ყოველთვის ერთნაირია. ფეხბურთი ისევ მაბედნიერებს, თუმცა, რა თქმა უნდა, როდესაც პატარა ბიჭი იწყებს თამაშს, ეს ნამდვილად განსაკუთრებულია. ბედნიერი და მოტივირებული ვარ, მინდა, კიდევ დიდი ხანი ვითამაშო.

***– ევრო 2016-ც გავიხსენოთ.***

– პორტუგალიის ნაკრებთან ერთად მოგებული ევროპის ჩემპიონატი ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც ოდესმე მომიგია. დაუჯერებელი საღამო იყო, დაუვიწყარი. ვტიროდი, ვიცინოდი, ვყვიროდი... თამაშის დროსაც ვტიროდი, მაგრამ დასრულების შემდეგ ვზეიმობდი, დავლიე. არასდროს ვსვამ, მაგრამ ეს დღე განსაკუთრებული იყო, ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტული მოვიგე.

***– მომავალში მწვრთნელობას ხომ არ გეგმავ?***

– ამ მომენტში მწვრთნელობა არ მაინტერესებს, მაგრამ, შესაძლოა, ერთ დღეს გადავიფიქრო, არასდროს ვიტყვი არასდროს. თუ მწვრთნელი გავხდები, მოტივატორი ვიქნები. მწვრთნელმა გუნდს თავისი ვნებები და ნიჭი უნდა გადასცეს. მაგალითად, მომწონს გართობა, დრიბლინგი, დარტყმა, გოლის გატანა. მე უნდა გადავცე გუნდს, როგორც მოტივატორმა, თავდაჯერებულმა.

# საუკეთესო სპორტსმენი ლაშა ტალახაძეა

## ოლიმპიური კომიტეტის ვერსია

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა 2019 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტული შედეგების მიხედვით სეოკ-ის მიერ განსაზღვრულ ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილდოების წინასაახალწლო ცერემონია.

სეოკ-მა მთავარ ნომინაციაში – საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი, გამარჯვებულად ლაშა ტალახაძე დაასახელა. მძიმეწონოსანმა ძალოსანმა წელს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები (თან მსოფლიოს 3 რეკორდი დაამყარა) მოიგო.

**ლაშა ტალახაძე:**

– დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარი დამიჭირა. წელს ბევრმა სპორტსმენმა ასახელა ჩვენი ქვეყანა და კონკურენცია დიდი იყო. გენო პეტრიაშვილი და ლუხუმ ჩხვიმიანი არანაკლებ იმსახურებდნენ გამარჯვებას და ნამდვილად არ დამწყდებოდა გული, რომელიმე მათგანზე რომ შეჩერებულიყო არჩევანი. ჩვენ სამივე ერთ სიმაღლეზე ვიდექით.

ღირსეული კონკურენტები მყავდა და მინდა, მათ წარმატება ვუსურვო. სრულიად საქართველოს ვულოცავ დამდეგ 2020 წელს. გამარჯვებისა და წარმატების მომტანი წელი მოსულიყოს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოპულარული სიმღერა, მუსიკალური ნაწარმოები; 2. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს ან ვერცხლის ნაკეთობაზე; 3. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ფულის ერთეული ირანში; 6. მძიმე ტვირთების გადასაზიდი მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. ორცოლიანობა; 12. ღვინის ხის კასრების მკეთებელი ოსტატი; 14. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 15. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი.

**თარაზულად:** 1. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 4. მრავალმხრივი ცოდნის მქონე განსწავლული ადამიანი; 7. სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება; 9. ტროპიკებში გავრცელებული მოკლეხორთუმიანი ცხოველი; 11. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 12. შავყურძნოვანი ვაზის ქართული სუფრის ჯიში; 13. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 17. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. სპორტის სათამაშო სახეობა; 20. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ტიბეტი; 2. პიეტა; 3. ბრიუგე; 4. ალუშტა; 6. შტრაუსი; 9. კრონა; 11. რიტუალი; 15. რუდიმენტი; 16. ტეკილა; 17. ბიურგერი; 19. ოტიატრი; 21. გაბროვო; 22. ანდები.

**თარაზულად**: 5. ჰიდრანტი; 7. ტრამვაი; 8. წულაძე; 10. არიფანა; 12. ტუნგი; 13. კლიშე; 14. მონორელსი; 18. გაუჩო; 20. ფელინი; 23. ანემია; 24. ბორი; 25. მალაგა; 26. ბუტი; 27. ყვარელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სუში; 2. ტონგა; 3. სმალტა; 5. პერიე; 6. ბარტოლდი; 8. გრენლანდია; 10. ევკომია; 12. ნეიმარი; 14. უზანგი; 15. თეზისი; 16. აპაჩი.

**თარაზულად**: 1. სტრიტი; 4. აპლომბი; 7. ხანუმა; 9. ტიგელი; 11. მეეზოვე; 12. ნემეზიდა; 13. ქორქია; 17. რუზინე; 18. იდეა; 19. კრიმინალი; 20. რარიტეტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8696

ევრო — 3.1973

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7488

100 რუსული რუბლი — 4.6437

## ამინდის პროგნოზი 28 დეკემბერი








17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

**მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები**

ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი


## გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები“ 100 წლისაა




გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილების“ 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მწერალთა სახლში საიუბილეო საღამო გაიმართა.

გამოიფინა კრებულ „არტისტულ ყვავილებში“ შესული ლექსების ხელნაწერები გიორგი ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმის ფონდებიდან და ამავე ხელნაწერების მიხედვით შექმნილი პლაკატები.

მწერალთა სახლში გაიმართა ღია მიკროფონი, რომელსაც პოეტი შოთა იათაშვილი უძღვებოდა. მწერალთა სახლში მისულ ყველა მსურველს შეეძლო წაეკითხა ერთი ლექსი გალაკტიონის „არტისტული ყვავილებიდან“.

ნიკა მაჩაიძემ და ნატალია ბერიძემ კი შეკრებილი საზოგადოებისთვის გალაკტიონის „არტისტული ყვავილების“ მიხედვით შექმნილი მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 28 დეკემბრისათვის

**ვერძი** — თქვენს დიპლომატიასა და გამჭრიახობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სამომავლო გეგმებს ნუ დასახავთ. **კურო** — თამამად გარისკეთ. წარმატებული და იღბლიანი დღეა. ენას კბილი დააჭირეთ. **ტყუპები** — ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ხელგეწიფებათ. რისკი გამართლებულია. **კირჩხიბი** — თუ რამე ჩაიფიქრეთ, უთუოდ შეასრულეთ. ხელს ვერაფერი შეგიშლით. ახლობლებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და მოეფერეთ. **ლომი** — უფრო მოკრძალებული და თავდაჭერილი უნდა იყოთ. გახსოვდეთ, რომ ფშუტე თავთავი თავს მაღლა სწევს, მძიმე თავთავი კი თავდახრილია. **ქალწული** — ნუ დაგავიწყდებათ მადლიერების გამოხატვა იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც მძიმე წუთებში თანადგომა გაგიწიეს. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** — ახალი ნაცნობობა კეთილისმყოფელი იქნება. რისკის არ შეგეშინდეთ. **ღრიანკალი** — იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. პროფესიული საქმიანობა დიდ ენერგიას დაგახარჯვინებთ. **მშვილდოსანი** — პლანეტები გმფარველობენ. განსაკუთრებით წარმატებულია დღის პირველი ნახევარი. **თხის რქა** — გიმართლებთ სასიყვარულო ურთიერთობებში, კარიერაში. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. **მერწყული** — ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. სხვის პრობლემებს გულგრილად ნუ მოეკიდებით. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ გარშემომყოფებს. **თევზები** — დაძაბული სამუშაო დღეა, თუმცა მდიდარი ფანტაზიისა და წარმოსახვის წყალობით ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ.

### 29 დეკემბრისათვის

**ვერძი** — საოჯახო პრობლემები სრულად ჩაგითრევთ. აკონტროლეთ შემოსავალ-გასავალი. გამოიყენეთ მეგობრების გამოცდილება. **კურო** — მიენდეთ ახლობლებს. ეცადეთ, მოსალოდნელი კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **ტყუპები** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. თუ ქალაქგარეთ გასვლა მოგიხდათ, სიფრთხილე გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** — გუნება-განწყობა გეცვლებათ. აქტიურობთ, თუმცა შინაგანად დაძაბული ხართ. **ლომი** — ზედმეტი მიამიტობა შეცდომების დაშვების მიზეზად იქცევა. ყურადღებით იყავით საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას. **ქალწული** — საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, მაგრამ ეს არ გაძლევთ იმის საფუძველს, რომ თქვენი შესაძლებლობები გადაჭარბებულად შეაფასოთ. **სასწორი** — წინააღმდეგობები შეგხვდებათ. გარშემომყოფებთან დაძაბული ურთიერთობა გექმნებათ. **ღრიანკალი** — იღბლიანი დღეა. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. პირად ცხოვრებაშიც გიმართლებთ. **მშვილდოსანი** — ყურადღების ცენტრში ხართ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. ზომიერება დაიცავით. **თხის რქა** — გეგმების განხორციელებაში ხელი არ გეშლებათ. მოსალოდნელია აზრთა სხვადასხვაობა ხელმძღვანელ პირებთან. **მერწყული** — მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად მშვენიერი პერიოდია. მოვლენების დაჩქარება სასურველი არ არის. **თევზები** — სიტუაციაში გარკვევა გიჭირთ. ოდნავ დაბნეული ხართ. საღამოს რომანტიკული შეხვედრაა მოსალოდნელი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

— მოკვდები სიღარიბეში, სრულიად მარტო, ტანჯვითა და ტკივილებით გარემოცული.
— რა მითხარით?
— გითხარით, აი, აქ ხელი მოაწერეთ და კრედიტი თქვენია.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს, ერთი მეორეს ეკითხება:
— ბიჭო, რას გიგავს სახე, რა დაგემართა?
— გუშინ ორი მუტრუკი დამესხა თავს და...
— მერე, შენი შავი ქამარი კარატეში?
— ბნელოდა და ვერ დაინახეს.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:
— გუშინწინ ქმარმა იმ დროს შემომისწრო, მისი „ბრიტვით“ ფეხებს რომ ვიპარსავდი და კარგად შემახურა.
— მერე?
— მისთვის ახალი საპარსის ყიდვა მომიხდა.
— კარგად პარსავს?
— კი, უკვე შევამოწმე.

●●●

ბიჭი ბარში ზის. მასთან გოგონა მიდის და ეუბნება:
— თუ გინდა, დღეს კარგად გაერთო, მე თიკუნა მქვია.
— და თუ დღეს კარგად გართობა არ მსურს, მაშინ რა გქვია?

●●●

რუსმა ქალმა შვებულება საქართველოში გაატარა, გაიცნო ადგილობრივი და კარგადაც გაერთო. დამშვიდობებისას ქართველი ეუბნება:
— წერილს გამოგიგზავნი და გამოგიძახებ.

მართლაც ორი კვირის შემდეგ ქალმა წერილი მიიღო: „დეიდა გარდაიცვალა, სასწრაფოდ ჩამოდი“. ქმარმა მარტო გაშვება არ მოისურვა და უთხრა, რომ მხოლოდ თავის დედასთან ერთად გაუშვებდა. ქალმა საპასუხო წერილში დაწერა: „მოვემგზავრები დედამთილთან ერთად“.

აეროპორტში ქალებს ორი მანქანით დახვდნენ. ერთი ერთ მანქანაში, მეორე — მეორეში. ერთკვირიანი დროსტარების შემდეგ, უკან გამგზავრებისას, ქალი დედამთილს ეკითხება:
— დედა, სახლში რას ვეტყვით?
— შენი არ ვიცი და მე 40-ზეც აუცილებლად ჩამოვალ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ანჩელოტიმ ევერტონში სადებიუტო მატჩი მოიგო



კარლო ანჩელოტიმ ევერტონში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა და მისმა გუნდმა ბარნლი დაამარცხა საკუთარ მოედანზე, ანგარიშით 1:0.

ანჩელოტიმ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა კარგი შეხვედრა ჩაატარა და გამარჯვება დაიმსახურა:

— ევერტონში ძალიან კარგი ატმოსფეროა და გუნდი ერთი ოჯახივით არის, რაც მოედანზეც აისახება. ბარნლისთან მატჩით კმაყოფილი ვარ და ჩვენ შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

ანჩელოტიმ ევერტონი რამდენიმე დღის წინ ჩაიბარა და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## იურგენ კლოპი: „მიზანთან ახლოს ვართ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ლესტერის განადგურების შემდეგ თავისი ფეხბურთელები შეაქო და თქვა, რომ ისინი საოცრად კარგ ფეხბურთს თამაშობენ. კლოპის აზრით, ლივერპული ინგლისის ჩემპიონობასთან ახლოს არის:

— ნამდვილად არ მეგონა, რომ ლესტერს ასე იოლად დავამარცხებდით. განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც რთული შეხვედრები გვქონდა. ჩემმა ბიჭებმა ნამდვილი საშობაო საჩუქარი გამიკეთეს. ჩემპიონობას ვუახლოვდებით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინ კიდევ ბევრი შეხვედრაა.

## ბეტისმა ხოაკინს კონტრაქტი გაუგრძელა



ბეტისმა თავის ვეტერანს, 38 წლის ხოაკინ სანჩესს კონტრაქტი 2 წლით გაუგრძელა და ხოაკინი ბეტისში 2022 წლის ჩათვლით ითამაშებს.

ხოაკინი ბეტისის აღზრდილია, თუმცა გუნდი მან 2006 წელს დატოვა და 2015 წელს დაბრუნდა. თავის დროზე ის ესპანეთის ნაკრების წევრიც იყო.

ხოაკინმა რამდენიმე კვირის წინ ჰეთრიქი შეასრულა და ის გახდა ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი ესპანეთის ჩემპიონატში, ვინც ეს გააკეთა.

ხოაკინმა განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს.

## გვარდიოლა არტეტას წარმატებას უსურვებს



ხოსეპ გვარდიოლამ თავის ყოფილ თანაშემწე მიკელ არტეტაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის წარმატებაში ეჭვი არ ეპარება.

არტეტა არსენალის მთავარი მწვრთნელი გახდა და გუნდთან ერთად უკვე ერთი შეხვედრა ჩაატარა. გვარდიოლა არტეტას შესაძლებლობებს ძალიან კარგად აფასებს:

— მასთან ერთად რამდენიმე წელი ვიმუშავე და არტეტა ყოველთვის კარგ რჩევებს მაძლევდა. მას შეუძლია კარგი მწვრთნელი გახდეს და დარწმუნებული ვარ, რომ ასეც მოხდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ფოთში საახალწლო განათება დაამტვრიეს



ფოთში ვანდალური ფაქტი დაფიქსირდა. სადღესასწაულო ქალაქგაფორმებითი სამუშაოები ჯერაც არ დასრულებულა, ცენტრალურ მოედანზე კი ვანდალიზმის ფაქტები მოხდა.

— მთავარ ნაძვის ხესთან დაზიანებულია ილუმინაციები და ელექტროგაყვანილობა. მაშინ, როცა მოსახლეობა სიხარულით შეეგება გამორჩეულ სადღესასწაულო გაფორმებას, მავანმა თავისი უღირსი საქციელით შეურაცხყო ყველა ადამიანის შრომა და ძალისხმევა, ყველა ფოთელის, ვისაც გულით უხარია ქალაქის წინსვლა და აღმშენებლობა, — ნათქვამია ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ განცხადებაში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## შიშველმა სტუდენტებმა სურათები ძროხებთან და ცხენებთან გადაიღეს

ახალი ზელანდიის მესის უნივერსიტეტის ვეტერინარული ფაკულტეტის სტუდენტებმა შიშველი ფოტოსესია 2020 წლის საქველმოქმედო კალენდრისთვის გამართეს.

გადაღებაში დაახლოებით 50-მა ჭაბუკმა და გოგონამ მიიღო მონაწილეობა. კალენდრის გვერდებზე ისინი პოზირებენ ფერმაში და საკუთარ ინტიმურ ადგილებს სხვადასხვა ცხოველის დახმარებით ფარავენ, მათ შორის ძროხებით, ცხენებითა და ძაღლებით, ასევე მცენარეებითა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღით.



— თავად გადაღებები საკმაოდ ქაოტური იყო, — ყვება 22 წლის ოკლენდელი სტუდენტი გოგონა კეიტლინ უაიტი, — იმისთვის, რომ სწორი კადრები გამოსულიყო, რომლებზეც დაფარული იქნებოდა ის ყველაფერი, რაც დასაფარი იყო, საჭირო იყო სხვა შიშველ ადამიანებთან და ადვილად აღგზნებად ცხოველებთან შეთანხმება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბეწვეულის, შალის ქსოვილების მავნებელი მწერი; 2. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 3. ხელოვნური არხების სახელწოდება ჰოლანდიაში; 4. რამე ფაქტის, მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 6. ეგვიპტის მმართველთა ტიტული; 9. სპირტიანი სასმელი; 11. ქართული ჩაი; 15. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 16. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 17. კორიდის მთავარი მონაწილე; 19. შინაგანი ბიძგი, მისწრაფება რამე მოქმედების შესასრულებლად; 21. ლელვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 22. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი.

**თარაზულად:** 5. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 7. ნახტომი ბალეტში; 8. ფრანგი მოდელიერი; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 12. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 14. სურსათ-სანოვაგის ბაზარი ძველ თბილისში; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 20. ქულა ძიუდოში; 23. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 24. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 25. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 26. დედალი ჯიხვი; 27. ტროპიკული ხილი.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*